

თბილისის

ვანო

სარაჯიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორიის

ტრადიციული

მრავალხმიანობის

კვლევის

საერთაშორისო

ცენტრის

ბიულეტენი

თბილისი, 2017 (#2)

#23

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 100 წლისაა

უცხოელები ქართული მუსიკის შესახებ

ჯონ ანანდა გრემი

„ჩემი გზა ქართული სიმღერისაკენ“

ქართული სიმღერის მოამაგეები

„გურიის ბულბული“ – სამუელ ჩავლეიშვილი

ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი

„აკრიანი“

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი

სეტოს ლეელო-გუნდი „ვერსკა ნაასე“

ესტონეთიდან

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო

გალობის უმაღლესი სასწავლებელი 10 წლისაა

ქართული ანსამბლის წარმატება შვეიცარიაში

ერთი ახალი გამოცემის შესახებ

ზაქარია ფალიაშვილი

ტრადიციული საოჯახო ანსამბლი

გორდელაძეები

ვილიანდის ფოლკლორული ფესტივალი

ძველი პრესის ფურცლებზე

„გალობის გავრცელება“

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

ჭვენერობის დღესასწაული და მასთან

დაკავშირებული ტრადიციული მუსიკა

ორმაგი ჩასაბერი საკრავები და ვოკალური

პოლიფონია

ერთი სიმღერის შესახებ

„ალილო“

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივლისი-დეკემბერი, 2017)

*ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები,
სემინარები...*

29.07-10.09.17 – კურორტ საირმეში გაიმართა მუსიკალური ფესტივალი „საირმე 2017“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „რუსთავი“, „დიდგორი“, „იალონი“, „შავნაბადა“, „ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლი“, „იამე“, „ბასიანი“, „თბილისი“.

31.08-2.09.17 – გურიასა და აჭარაში ჩატარდა „შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი“, რომელმაც 7 ქვეყნის (ესპანეთის, იტალიის, პოლონეთის, უკრაინის, სომხეთის, თურქეთისა და საქართველოს) ფოლკლორულ ანსამბლებს უმასპინძლა.

5-9.09.17 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა ეთნომუსიკოლოგიის XXXIII ევროპულ სემინარს – ESEM-2017 უმასპინძლა.

(დეტალური ინფორმაცია იხ. ტმკსც-ის ვებგვერდზე www.polyphony.ge).

3-5.10.17 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა CODFREURCOR-ის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების ფრანკოფონული რეგიონული სადოქტორო ჰუმანიტარული მეცნიერებების კოლეჯი) მე-5 საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით: „21-ე საუკუნის 21 გამოწვევა: ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები“, რომელშიც ქართველმა ეთნომუსიკოლოგებმაც მიიღეს მონაწილეობა.

6.10.17 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სემინარი „აღმოსავლეთ-ქრისტიანული საეკლესიო მუსიკის პრობლემები“.

2-4.11.17 – ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XII საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა.

*ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები,
პრეზენტაციები...*

7.09.17 – ეთნომუსიკოლოგიის XXXIII ევროპული სემინარის ESEM-2017 ფარგლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში უცხოელი მეცნიერებისათვის ქართული ხალხური სიმღერების სწავლების მიზნით ჩატარდა ეთნომუსიკოლოგ ლევან ვეშაპიძისა და ლოტბარ თორნიკე სხიერელის მასტერკლასები.

3-15.09.17 – ფონდმა „ქართული გალობა“ სტუდენტური დასაქმების პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებში გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის 6 სტუდენტი თიანეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოსა და აჭარაში გაიგზავნა რეგიონულ გუნდებთან სამუშაოდ.

20.09.17 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ფონდ „ქართული გალობის“ სტუდენტური დასაქმების პროექტის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო.

6.10.17 – ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის პრეზენტაცია, საიუბილეო კონფერენცია და გალობის სადამო გაიმართა.

5.10.17 – შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში სალოტბარო სკოლა გაიხსნა.

10.10.17 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გალობელ-მომღერალთა ანსამბლ „შემოქმედის“ პირველი აუდიო ალბომის პრეზენტაცია მოეწყო.

22.10.17 – თბილისის ქარვასლაში ფონდმა „ქართულმა გალობამ“ არტემ ერქომაიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემიის გადაცემის მეორე საზეიმო ცერემონია გამართა.

27.11.17 – გალობის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა, კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „სამრეკლო ზარების საიდუმლოებანი“.

30.11.17 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ანსამბლ „ელესას“ მეორე აუდიოალბომის პრეზენტაცია.

22.12.17 – ფონდმა „ქართულმა გალობამ“ ტრადიციული წინასახალწლო საანგარიშო ღონისძიება მოაწყო.

22.12.17 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიურმა მიმართულებამ ჩაატარა ლექცია-კონცერტი „ილია და ქართული ტრადიციული მუსიკა“.

ექსპედიციები

20.07-3.08.17 – ანსამბლმა „ადილეიმ“ მოაწყო ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი ტური ქართული ტრადიციული მუსიკით დაინტერესებული უცხოელი მუსიკოსებისთვის იმერეთში, გურიაში, აჭარასა და სვანეთში.

20.08-5.09.17 – ა(ა)იპ ფონდ „ჰეიამოს“ თანადამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი კრავეიშვილმა ჩაატარა ექსპედიცია ჰენდექის, აქიაზისა და აგოლჯუქის რაიონის სოფლებში (თურქეთი) 1870-80-იან და 1910-იან წლებში გადასახლებული კლარჯების შთამომავლებთან.

2-6.10.17 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მოაწყო ექსპედიცია ცაგერში ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის, რაფიელ კოპალიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფიისათვის მასალის მოსაპოვებლად.

გასტროლები

3-9.07.17 – შვეიცარიაში, ობვალდენის კანტონში გაიმართა ტრადიციული მუსიკის XII ფესტივალი, რომელშიც მიწვეული იყო მგალობელ-მომღერალთა გუნდი „დიდგორი“ და „დები ზვიადაურების“ ტრიო.

13-17.07.17 – ანსამბლი „შავნაბადა“ იმყოფებოდა იუნესკოს ფორუმზე ქალაქ კლაიპედაში (ლიტვა), სადაც 4 კონცერტი გამართა.

15-25.07.17 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „მჭელი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა შვეიცარიაში.

25.07.17 – ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ მონაწილეობა მიიღო ქალაქ ერევანში გამართულ საქართველოსა და სომხეთ-

ის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

31.07.17 – საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ მონაწილეობა მიიღო მართლმადიდებლური გალობის ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალში „Просветитель“ სამონასტრო კუნძულ ვალაამზე (რუსეთის ფედერაცია).

8-12.08.17 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდი შვეიცარიაში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო ქალაქ ნომატელში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში „Buskers Festival“.

29.08.17 – საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „ბასიანის“ ტრიომ მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბერლინში გამართული ფესტივალის „Young Euro Classic“ ფარგლებში განხორციელებულ პროექტში „Klassik Meets Jazz“.

5.09.17 – ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ქალაქ კრინიცა-ზდრუიში 27-ე ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მოწყობილ „ქართულ საღამოში“.

18-21.09.17 – დედას ლევანას სახელობის ანსამბლმა „შილდამ“ მონაწილეობა მიიღო ჩინეთის ქ. სიამენში გამართულ საერთაშორისო საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენაში China International Fair for Investment & Trade (CIFIT), სადაც საქართველო კომპანია „მელვინეობა შილდას“ სახით იყო წარმოდგენილი.

2-21.10.17 – „ანჩისხატის გუნდი“ მიწვეული იყო ნიდერლანდებში ჰოლანდიურ სასულე ორკესტრთან Nederlands Blazers Ensemble ერთობლივი პროექტის განსახორციელებლად, რომლის ფარგლებში ჩაატარა 9 კონცერტი ჰოლანდიის სხვადასხვა ქალაქში.

8.10.17 – „ანჩისხატის გუნდმა“ და ანსამბლმა „ადილეიმ“ ჩაატარეს ერთობლივი კონცერტები ბელგიის ქალაქებში ბრიუსელსა და ანტვერპენში.

10-16.10.17 – ანსამბლი „იალონი“ მიწვეული იყო ჰოლანდიაში გამართულ ფესტივალზე სახელწოდებით „From Georgia with Love“, რომ-

ლის ფარგლებში ჩაატარა კონცერტები და მონაწილეობა მიიღო მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში ჰოლანდიის სხვადასხვა ქალაქში.

12-18.10.17 – საქართველოში საკონცერტო ტურნე მოაწყო ქალთა ლატვიურმა ანსამბლმა „ერამ“. ტურნეს ფარგლებში ანსამბლი ეწვია საქართველოს სხვადასხვა ქალაქს ანსამბლ „დიდგორთან“ ერთად და ჩაატარა ერთობლივი კონცერტები ქართულ ანსამბლებთან და სალოტბარო სკოლების გუნდებთან.

2-4.11.17 – საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, „ღვინის ცივილიზაციის ცენტრში“ (Cité des Civilisations Du Vin) გამოფენის „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“ ფარგლებში საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ გამართა პრეზენტაცია-კონცერტი „ქართული ღვინო და ტრადიციული მრავალხმიანობა“.

8-9.11.17 – ანსამბლმა „შავნაბადამ“ მონაწილეობა მიიღო იყო ქალაქ სტრასბურგში მსოფლიო დემოკრატიის VI საერთაშორისო ფორუმის გახსნის ცერემონიაში და ჩაატარა კონცერტი ევროსაბჭოს დელეგატებისათვის.

10-13.11.17 – საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ კონცერტების ჩასატარებლად მიწვეული იყო ქალაქებში მოსკოვი და პერმი (რუსეთის ფედერაცია).

25-28.11.17 – საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ ქალაქ პეკინში გამართული „მსოფლიო მუსიკის დღეების“ ფარგლებში კონცერტები და მასტერკლასები ჩაატარა.

30.11.17 – ქალაქ ლონდონში ბრიტანეთის ბიბლიოთეკის პროექტი „ხმების სეზონი“ გაიხსნა ქართული პოლიფონიის სადამოთი სახელწოდებით „აბრეშუმის გზის მუსიკა“, რომელზეც მოეწყო ბრიტანული კომპანია „გრამოფონის“ მიერ 1901-1904 წლებში თბილისში გაკეთებული ჩანაწერების პრეზენტაცია ბრიტანელი და ქართველი მკვლევრების, ისტორიკოსებისა და მუსიკოსების მიერ. ღონისძიების სტუმარი იყო ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“.

13-17.12.17 – ანსამბლი „შავნაბადა“ საგასტროლოდ ქალაქ ბერლინში იყო მიწვეული.

კონცერტები, სადამოები...

2.07.17 – ანსამბლმა „შავნაბადამ“ გამართა ერთობლივი კონცერტი თბილისის გოგონათა გუნდთან ბათუმის მუსიკალურ ცენტრში.

5.07.17 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ზესტაფონის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი.

12.08.17 – ანსამბლმა „ადილეიმ“ ქალაქ ბათუმში ერთობლივი კონცერტი გამართა თურქულ ვოკალურ ჯგუფ „ანქორუსთან“.

4.09.17 – ანსამბლმა „ადილეიმ“ და სოფელ პრემანას (იტალია) ანსამბლმა „კანტა პრომანამ“ გამართეს ტრადიციული მუსიკის სადამო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

5.09.17 – XXXIII ევროპული სემინარის გახსნის ცერემონიაზე გაიმართა ფოლკლორული კონცერტი ქართული და უცხოური ხალხური ანსამბლებისა და ტრადიციული მომღერალი ოჯახების მონაწილეობით.

27.09.17 – ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ანსამბლმა „შავნაბადამ“ კონცერტი გამართა.

13.10.17 – ხალხური და გამოყენებით ხელოვნების მუზეუმში გაიმართა ლატვიურ-ქართული მუსიკის სადამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლატვიურმა ქალთა ანსამბლმა „ერა“, ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანიანამ“ და მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „დიდგორმა“.

15.10.17 – ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი გაიმართა, რომელიც ანსამბლ „შვიდკაცას“ 60 წლის იუბილეს მიეძღვნა.

22.10.17 – ანსამბლმა „შავნაბადამ“ კონცერტი გამართა კახეთში, ყვარლის რაიონში ნელქარისის მარანში საქართველოს ბიზნესმენტა ასოციაციისა და უცხოელი ბიზნესმენტებისათვის.

30.10.17 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ქართულ-ლატვიური მუსიკის საღამო. ლატვიურ ანსამბლ „კუაკლეს“ უმასპინძლა ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინამ“.

„ღვინო და პოლიფონია“ – დედას ლევანას სახელობის ანსამბლი „შილდას“ პირველი აუდიოალბომი

ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა სტუდია „ამერ-იმერმა“ გამართა მითოლოგიური სპექტაკლი „ჭეჭეთობა ღამე“:

1.11.17 – ხალხური და გამოყენებით ხელოვნების მუზეუმში;

20.11.17 – რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში;

18.12.17 – ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.



4.11.17 – „ანჩისხატის გუნდმა“ კონცერტით დახურა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის XII საერთაშორისო ფესტივალი.

გალობის უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდის პირველი აუდიოალბომი

11.11.17 – თბილისის ბაროკო ფესტივალის ფარგლებში რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში „ანჩისხატის გუნდმა“ საგალობლების კონცერტი ჩაატარა.



12.12.17 – ანსამბლმა „შაენაბადაძე“ კონცერტი გამართა კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

25.12.17 – ქალაქ ხაშურის მუნიციპალიტეტის მიწვევით ანსამბლმა „სათანაომ“ და „ანჩისხატის გუნდმა“ ერთობლივი კონცერტი გამართეს ხაშურის კულტურის სახლში.

ანსამბლ „ელესას“ მეორე აუდიოალბომი

27.12.17 – უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის აღსაყდრებიდან 40 წლის აღსანიშნავ ღონისძიებათა ფარგლებში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა გალობის უნივერსიტეტის დაარსებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება.

30.12.17 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ანსამბლმა „იალონმა“ კონცერტი გამართა.



ანსამბლ „შემოქმედის“ პირველი აუდიო
ალბომი



წიგნი ზაქარია ფალიაშვილი



მოამზადა მაკა ხარძიანმა

თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორია 100 წლისაა



ერთი საუკუნე – დიდი დროა იმისათვის, რომ უმაღლესმა სამუსიკო სასწავლებელმა დაიმკვიდროს თავისი ადგილი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში, მაგრამ საკმაოდ მცირე იმისათვის, რომ აღზარდოს გამოჩენილი მუსიკოსების თაობები, საქვეყნოდ სახელგანთქმული შემსრულებლები და კომპოზიტორები. მხოლოდ მყარი ტრადიციებისა და ძლიერი პოტენციალის მქონე უმაღლეს სასწავლებელს შეეძლო უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ათასგვარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრების მიუხედავად, არა მარტო გაეგრძელებინა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება, არამედ გამხდარიყო მსოფლიოს მუსიკალური საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილებიანი და წარმატებული წევრი.

დღეს თბილისის კონსერვატორია ზეიმობს დაარსებიდან 100 წლისთავს. ამ საიუბილეო თარიღს იგი ხვდება დროის მოთხოვნების შესაბამისი განახლების ძლიერი სურვილით.

თბილისის კონსერვატორია პირველი უმაღლესი სასწავლებელია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ოფიციალურად იგი 1917 წლის 1 მაისს გაიხსნა. 1924 წელს მას სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა, ხოლო 1947 წლიდან იგი ატარებს დიდი ქართველი მომღერლის, ვანო სარაჯიშვილის სახელს.

საქართველოში კონსერვატორიის დაარსებას წინ უსწრებდა ინტენსიური მუსიკალურ-თეატრალური ცხოვრება. გასტროლებზე ჩამოდიოდნენ საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოს-

შემსრულებლები: ჰენრიკ ვენიავსკი, ლეოპოლდ აუერი, ეგონ პეტრი, ანტონ რუბინშტიინი, სერგეი რახმანინოვი, ვლადიმერ ჰოროვიცი და სხვ. თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დაიწყო გამოჩენილი მომღერლის ფიოდორ შალიაპინის საოპერო კარიერა. საკონცერტო შემსრულებლობის მაღალი პროფესიული დონე, საოპერო და საბალეტო სპექტაკლები – ყოველივე ეს აყალიბებდა საზოგადოების მხატვრულ გემოვნებას, ზრდიდა მუსიკალური ხელოვნებისადმი ინტერესს. მრავალრიცხოვან სალონებში საფუძველი ეყრებოდა საშინაო მუზიციერებას.



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა

ქართველები დიდი მადლიერებით იხსენებენ იმ მუსიკოსთა სახელებს, რომლებმაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარეს მდიდარ მუსიკალურ-პედაგოგიურ ტრადიციებს. ამ პედაგოგთა შორის არიან: პირველი ქართველი კომპოზიტორი-პიანისტის ალოიზ მიზანდარის მასწავლებელი ლეონ იანიშევსკი, იგნაც მოშელესის მოწაფე ედუარდ ეპშტეინი, ჰენრიკ ვენიავსკის მოწაფე კონსტანტინ გორსკი, ფრიდრიხ კუნაუს მოწაფე ფრანც კესნერი, ანტუან მარმონტელის მოწაფე ალექსანდრ ნემეროვსკი, ლუსიენ კაპეს მოწაფე ევგენი გუზიკოვი, პიოტრ ჩაიკოვსკის მოწაფე ნიკოლაი კლენოვსკი, იოზეფ და როზა ლევინები, ჩეხი მომღერალი, ლოტბარი და პედაგოგი იოზეფ რატილი და სხვ.

XIX საუკუნის მიწურულიდან საქართველოში უკვე აქტიურად მოღვაწეობდნენ პირველი ქართველი მუსიკოს-განმანათლებლები, შემსრულებლები, პედაგოგები, ფოლკლორისტები, კომპოზიტორები: ლადო აღნიაშვილი,

ია კარგარეთელი, ალოიზ მიზანდარი, ხარლამპი სავანელი, ზაქარია ჩხიკვაძე, ფილიმონ ქორიძე, ანდრია ყარაშვილი. ამავე პერიოდში ყალიბდება ახალი ქართული პროფესიული საკომპოზიტორო სკოლა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის კომპოზიტორ-კლასიკოსთა პირველი თაობა: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ნიკო სულხანიშვილი, ვიქტორ დოლიძე.

უცხოეთიდან ჩამოსულ მუსიკოსებთან ერთად საზღვარგარეთ პროფესიას დაუფლებულმა ქართველმა მუსიკოსებმა მყარი საფუძველი ჩაუყარეს მუსიკალურ პედაგოგიკას საქართველოში. ესენი იყვნენ: ილია აისბერგი, ანა თულაშვილი, ანასტასია ვირსალაძე, ფრანც კესნერი, ვალენტინა კუფტინა, ჰენრიხ ნეიჰაუზი, ლუციან ტრუსკოვსკი (ფორტეპიანო), ოლგა ბახუტაშვილი-შულგინა, ენრიკო ბროჯი-მუტი, ვიქტორ ვილშაუ, ევგენი ვრონსკი, სანდრო ინაშვილი, ვარვარა ზარუდნაია, ვალერიან ქაშაკაშვილი (სოლო სიმღერა), მორის ლედნიკი (ვიოლინო), ევგენი გუზიკოვი (კამერული ანსამბლი), კონსტანტინ მინიარ-ბელორუჩევი (ჩელო), სერგეი ბარხუდარიანი, მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვი (კომპოზიცია, თეორია), დიმიტრი არაყიშვილი (ქართული ხალხური შემოქმედება), ივანე ფალიაშვილი (დირიჟორობა).

კონსერვატორიის შენობა XX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ მუსიკალური სასწავლებლისთვის (1886) აიგო. მისი პროექტის ავტორია იმ ხანად თბილისში მოღვაწე პოლონელი არქიტექტორი ალექსანდრ შიმკევიჩი. მცირე და დიდი დარბაზები თბილისის ინტენსიური საკონცერტო ცხოვრების ეპიცენტრშია. დიდ დარბაზში 1963 წლიდან სამმანუალიანი, 40 რეგისტრიანი ორგანი ფუნქციონირებს.

კონსერვატორიის პირველი რექტორი იყო ნიკოლაი ნიკოლაევი – იმ სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი, რომლის ბაზაზეც დაარსდა ეს უმაღლესი სასწავლებელი. მას შემდეგ სხვადასხვა დროს კონსერვატორიას ხელმძღვანელობდნენ: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი, შალვა მშველიძე, გრიგოლ კილაძე, იონა ტუსკია, ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ცინცაძე, ნოდარ გაბუნია, მანანა დოიჯაშვილი.

2012 წლიდან დღემდე კონსერვატორიის რექტორია რეზო კიკნაძე.

დღიდან დაარსებისა კონსერვატორია საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ და სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერად იქცა. თუმცა კი მისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია ეპოქალურ რყევებს: საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასა და გასაბჭოებას, საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურ წნეხსა და უმკაცრეს ცენზურას, 1937 წლის რეპრესიებსა და მეორე მსოფლიო ომს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტაგნაციას, საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და საბჭოთა კავშირის დაშლას... სასწავლებელმა ღირსეულად განვლო განვითარების ასწლიანი გზა და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებასა და პროფესიონალთა თაობების აღზრდაში. ამ პროფესიონალთა შორის არიან ძველი და ახალი თაობის ცნობილი ქართველი კომპოზიტორები, დირიჟორები, შემსრულებლები (ვოკალისტები, პიანისტები, მევიოლინეები და ა.შ.), მუსიკისმცოდნეები, ფოლკლორისტები, რომელთაც ქართულ მუსიკალურ კულტურას მსოფლიო აღიარება მოუტანეს.

ამჟამად კონსერვატორიას ფართო საერთაშორისო კავშირები აქვს. ის არა მარტო საგანმანათლებლო ინსტიტუტია, არამედ საკონცერტო ცხოვრების ცენტრი და, ამავე დროს, მუსიკალური ხელოვნების სამეცნიერო კვლევის ძირითადი კერაა საქართველოში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თბილისის კონსერვატორიამ შეიძინა ევროპული ყაიდის სამსაფეხურიანი უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის იერსახე. დღეს ის კონსერვატორიათა, აკადემიათა და მუსიკის უმაღლესი სკოლების ევროპული ასოციაციის – AEC-ის სრულუფლებიანი წევრია.

უკანასკნელ წლებში კონსერვატორიის სასწავლო პროცესმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის შესაბამისად, გაცილებით მოქნილი და ოპტიმიზებული გახდა სასწავლო პროცესი. იგი გამდიდრდა ახალი სპეციალობებით, ალტერნატიული არჩევითი კურსებით. დღეს თბილისის კონსერვატორიისთვის, როგორც არასდროს, აქტ-

უალურია ინტეგრაცია მსოფლიო მუსიკალურ-საგანმანათლებლო სივრცეში, ბოლონის პროცესთან შეერთებამ და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულმა სისტემამ შესაძლებელი გახადა თბილისის კონსერვატორიაში უცხოელი სტუდენტების სწავლა. ტრადიციად იქცა ცნობილი უცხოელი მუსიკოსების მასტერკლასები, სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროექტები, ფესტივალები, კონფერენციები, გაცვლითი პროგრამები.



თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზი

კონსერვატორიის სტრუქტურის ძირითადი რგოლია ფაკულტეტი. ორი ძირითადი ფაკულტეტი – *სამემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის* – აერთიანებს სხვადასხვა სპეციალობის მიმართულებებს. კერძოდ, *სამემსრულებლო* ფაკულტეტი მოიცავს: სპეციალური ფორტეპიანოს, საკონცერტმასისტერო დაოსტატების, კამერული ანსამბლის და სიმებიანი კვარტეტის, სოლო აკადემიური სიმღერის, საოპერო მომზადების, საორკესტრო სიმებიანი საკრავების, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების, აკადემიური გუნდის დირიჟორობის, სავალდებულო ფორტეპიანოს მიმართულებებს. *კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის* ფაკულტეტი კი აერთიანებს: კომპოზიციის, მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების (ლაბორატორიასთან ერთად), საეკლესიო მუსიკის მიმართულებებს. ორივე ფაკულტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბოლო ათწლეულებში კონსერვატორიაში დაინერგა ახალი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამები, როგორებიცაა: საშემსრულებლო ფაკულტეტზე – „ჯაზის ხელოვნება“ და „ბალეტის ხელოვნება“, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე – „მუსიკა და დღევანდელი“ (აერთიანებს ორ მიმართულებას: მუსიკის ტექნოლოგია და მუსიკის ჟურნალისტიკა.



თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია თითქმის ნახევარი საუკუნეა საგამომცემლო საქმიანობას ეწევა. მუსიკის ისტორიის, საეკლესიო მუსიკის, ეთნომუსიკოლოგიის, სამუსიკო შემსრულებლობის განხრით იგი 100-ზე მეტ გამოცემას ითვლის. მათ შორისაა: სამეცნიერო შრომათა კრებულები სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სტატიებით, სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მოხსენებებათა კრებულები, 2017 წლიდან კი – სანოტო კრებულები კომპოზიციის მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა ნაწარმოებებით, სამუსიკისმცოდნეო კომენტარებითა და თანდართული კომპაქტური დისკებით.

2003 წლიდან კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრისა და კაბინეტის, ძველი საერო და სასულიერო მუსიკის ლაბორატორიების ბაზაზე დაარსდა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომლის მუშაობა მიმართულია, ერთი მხრივ, მსოფლიო მრავალხმიანობის კვლევის სტიმულირებისა და მისი შედეგების ხელმისაწვდომობის გაზ-

რდისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე ქართული მრავალხმიანობის შესახებ პრაქტიკული და მეცნიერული ცოდნის გავრცელებისაკენ. ამ მიზანს ემსახურება ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები და მათზე წაკითხული მოხსენებების კრებულების გამოცემა, რომლებიც ცენტრის ვებგვერდზეა განთავსებული. თბილისის სიმპოზიუმებზე 2002-2016 წლებში უკვე წარმოდგენილი იყო გამოკვლევები მსოფლიოს 38 ხალხის მრავალხმიანობის შესახებ.

კონსერვატორიაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც სასწავლებელთან ერთად დაარსდა. აქ დაცულია 53 000-მდე დასახელების წიგნი და 100 000-მდე დასახელების სანოტო ერთეული.

სასწავლებელს აქვს ფონოტეკა, რომელშიც მიმდინარეობს საარქივო ჩანაწერების გადატანა კომპაქტურ დისკებზე და სტუდენტების უზრუნველყოფა საჭირო აუდიომასალით. კონსერვატორიის მუზეუმში დაცულია ქართული მუსიკალური კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშები, კონსერვატორიის ისტორიის ამსახველი დოკუმენტაცია, ავტოგრაფები, ფოტოები, სახელგანთქმული ქართველი და უცხოელი მუსიკოსების პირადი ნივთები.

2009 წელს თბილისის კონსერვატორიასთან დაარსდა სამუსიკო სემინარია, რომლის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, განვითარება და მათი პროფესიული ორიენტაცია ადრეული ასაკიდან. ბავშვები სწავლობენ საფორტეპიანო, საორკესტრო და თეორიულ სპეციალობებზე.

ამგვარად, თბილისის კონსერვატორიამ არა მარტო შეინარჩუნა მუსიკალური განათლების მდიდარი საუკუნოვანი ტრადიციები, არამედ დაიმკვიდრა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი პროფესიული და აკადემიური სასწავლებლის სტატუსი XXI საუკუნეში.

მასალა აღებულია წიგნიდან
ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია - 100
ავტორები: ნ. ლორია, მ. ქავთარაძე

„ჩემი გზა ქართული სიმღერისაკენ“

გამარჯობა, მე ვარ ჯონ გრემი, ერთი იმათაგანი, ვისაც უყვარს ქართული ტრადიციული მუსიკა; ამ წერილში მოგიხსნით ჩემი აღმოჩენებით სავსე მოგზაურობის შესახებ.

ქართული მუსიკის შესრულების შესაძლებლობა პირველად 2002 წელს მომეცა, როდესაც უესლის უნივერსიტეტს ვამთავრებდი, ვხელმძღვანელობდი პატარა გუნდს, რომელიც ასრულებდა გრიგორისეულ გალობასა და 12 საუკუნის პარიზულ ორგანუმს (*Perotin's Viderunt Omnes* – აღმასი ჩემს გულში რჩება). ჩვენი რეპერტუარის გაფართოებისთვის ახალი ნიმუშების ძიებაში ვიყავი, როდესაც, ერთ მშვენიერ დღეს, ანსამბლ „რუსთავის“ მიერ შესრულებული „წმიდაო ღმერთო“ და „შენ ხარ ვენახის“ მოსმენით მოვიხიბლე (ალბომიდან „ქართული ხმები“, 1996). დარწმუნებული ვარ, მკითხველებს შორის ერთადერთი არ ვარ, ვინც ქართულ მუსიკას ამ ულამაზესი ნიმუშებისა და საუკეთესო შესრულების წყალობით გაეცნო. ცხოვრების მანძილზე ყველა სახის საგუნდო მუსიკა შემისრულებია – XVII-XIX საუკუნეების ანგლიკანური საეკლესიო მუსიკა, ფრანგული, გერმანული და ამერიკული ხალხური სიმღერები, ალორმინების ხანის მუსიკა; ვმღეროდი სკანდინავიურ ჯგუფში, თანამედროვე რელიგიურ გუნდებში, მამაკაცთა პოპულარულ a capella ჯგუფებშიც კი... თუმცა, ქართული მუსიკის მოსმენისთანავე მიმიზიდა ჩანაწერში გამოხატულმა ძლიერმა გრძნობამ, შესრულების სიზუსტემ და ხმების სიმძლავრემ, რაც ევროპულ „აკადემიურ“ საგუნდო სტილთან იყო შერწყმული. ეს იყო მუსიკა, რომელიც მეც მინდოდა შემესრულებინა!

ამ ორი საგალობლის ნოტებზე გადატანის შემდეგ, სასწრაფოდ დავნიშნე რეპეტიცია პირველადი გაცნობის მიზნით. სხვა დანარჩენი უკვე ისტორიაა: ჩამოვშორდი გრიგორისეული საგალობლის პროექტს და ჩემს გუნდს კიდევ ოცდაათი ქართული საგალობელი შევასწავლე. საქმის დაწყებაში რამდენიმე ადამიანი დამეხმარა: იოსებ ჟორდანიას, კარლ

ლინიქი, ალან გასერი, სტუარტ გელზერი, ფეთი ქაილერი და ფრანკ კეინი. ისინი მიგზავნიდნენ ნოტებსა და კომპაქტურ დისკებს, პასუხობდნენ ჩემს უამრავ შეკითხვას ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით (მათ დახმარებაზე საუბრით არასდროს დავიღლები!). ამავე დროს, შევხვდი ჩემს აღმზრდელს – დარმუთის კოლეჯის პროფესორს თედ ლევინს, რომელმაც 2002 წელს ლიფტში მოთმინებით მოისმინა ჩემი ნაჩქარევი მონაცემი და წინასწარმეტყველურად მირჩია: „წადი საქართველოში, ისწავლე ენა, შეხვდი ხალხს და შემდეგ დამიკავშირდი“.



ჯონ ანანდა გრემი

2003 წელს მონაწილეობა მივიღე „ვილიჯ-ჰარმონის“ მიერ სილნალში ჩატარებულ სასიმღერო ბანაკში, სადაც შევხვდი ხალხურ შემსრულებლებს – ქეთევან მინდორაშვილს, შერგილ ფირცხელანსა და ფეტი ქაილერს. ქართული ხალხური მუსიკის შესრულებამ ახლებურად დამანახა გალობა, და დამაფიქრა, რატომ ვერ ბედავდნენ სასულიერო მუსიკის შემსრულებლები ხალხური რეპერტუარის შესრულებას (ყველა ქართველმა იცის, რომ ხალხური და სასულიერო მუსიკა ჭეშმარიტად ავსებს ერთმანეთს, თუმცა დასავლეთში ეს კავშირი უმეტესწილად დაკარგულია).

მეხსიერებაში მტკიცედ მაქვს აღბეჭდილი ქართული საგალობლის, როგორც ცოცხალი ტრადიციის, ჩემი პირველი შესრულება. სილნალში ყოფნის პირველივე შაბათ-კვირას ჩემმა ახალმა მეგობარმა ჯონ ვურდემანმა წამიყვანა ღვთისმსახურებაზე ალავერდში – კახეთის ვენახებიდან მოხდენილად და დიდებულად ამოზრდილ, თეთრი ქვით ნაშენ საკა-

თედრო ტაძარში. ვიდექი დასავლეთის შესასვლელთან ქვის იატაკზე და მონუსხული ვუსმენდი თითქოს ასობით ხმის მიერ შესრულებულ საგალობლებს „რომელნი ქერუბიმთა“ და „ჯვარსა შენსა“, რომლებიც წინა წელს მქონდა ნასწავლი. მათი ხმები ავსებდა ეკლესიას, შეუფერხებლად იპყრობდა ფარულ სამალავებს. თავიდან მაგალობლებს ვერ ვხედავდი, მაგრამ წარმოუდგენელი ხმა ისმოდა. მოგვიანებით გავიგე, რომ მხოლოდ ხუთნი იყვნენ, სამხრეთის აფსიდის კუთხეში მჭიდრო წრედ იდგნენ გალობის კრებულის გარშემო. დღემდე მახსოვს მათი შესანიშნავი ხმები და ალავერდის ტაძრის აკუსტიკა (ამ საჩუქრისთვის დიდი მადლობა გუნდის ხელმძღვანელს კოტეს!) ამ გამოცდილებამ, რომელმაც რეალური სივრცეები და რეალური ადამიანები გააცოცხლა თავისი ყველა გამოვლინებით, განაპირობა ქართული საგალობლით ჩემი მოხიბვლა.

2004 წელს დავბრუნდი საქართველოში ფულბრაიტის სამეცნიერო გრანტით, ამჯერად გადაწყვეტილი მქონდა, ჩავწვდომოდი ერგატულ ნაცვალსახელებს, შვიდბრუნვიან სისტემას, აგლუტინაციური ზმნის სტრუქტურებს, სამ ახალ ანბანსა და ენით გამოუთქმელ ქართულ თანხმოვნებს. ამჯერად თბილისში დავფუძნდი და შევხვდი ასობით მკვლევარს, სტუდენტს, მომღერალს, სიმღერის მოყვარულს. მათ შორის იყო ანზორ ერქომაიშვილი (ხელმძღვანელი ანსამბლ „რუსთავისა“, რომელიც ასე მომწონდა), დავით შულღიაშვილი, მალხაზ ერქვანიძე და ზაალ წერეთელი „ანჩისხატის გუნდიდან“. ამას მოჰყვა წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი – „ანჩისხატის ტაძრის“ გუნდის გასტროლების მომზადება აშშ-ში, რაც შედგა კიდევ 2005 წლის ოქტომბერში. ასეთი ტურნეები სხვა ქართული ანსამბლებისთვისაც მოვაწყვე.

ის წელი პირადად ჩემთვის მძიმე იყო, რადგან სიმსივნესთან წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა მამაჩემი – რომელიც ყოველთვის შთამაგონებდა იდუმალი საგნების შესწავლასა და ცხოვრებისეული გატაცებებისთვის ფეხის აყოლას არა ეკონომიკური, არამედ ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის მრწამსით. სიცოცხლის ბოლოს

მან მითხრა: „წადი იქ, სადაც გინდა, და გააკეთე ის, რაც გიყვარს“. ქართული მუსიკა იყო ის სამყარო, სადაც მინდოდა ყოფნა.



ანსამბლ „ალსავალთან“ ერთად

ისტორიის სპეციალისტთან და საუკეთესო თამადასთან ლუარსაბ ტოგონიძესთან ერთად ვიმუშავე ექვთიმე კერესელიძის მემუარების თარგმანზე, და დავწერე (გამოუქვეყნებელია) წიგნი ქართული გალობის ისტორიაზე, რაც საფუძვლად დაედო ისტორიულ მონაკვეთებს ჩემს სადოქტორო დისერტაციაში „ქართული ლიტურგიული გალობის გაშიფვრა და გადაცემა“ (პრინსტონის უნივერსიტეტი, 2015). იმავე წელს მართლმადიდებლად მოვინათლე და ჯვართამაღლების ეკლესიაში დავიწყე გალობა, შემდეგ მთაწმინდაზე მამა დავითის ტაძარში გადავედი. 2009 წლიდან ვარ ქაშუეთის ტაძრისა და ანსამბლ „ალსავალის“ წევრი.

პრინსტონში სწავლის დროს (2006-2013) გავიდრმავე ცოდნა ხალხურ მუსიკაში, ვხელმძღვანელობდი მოყვარულ ქალთა გუნდს „დედები“ და მამაკაცთა გუნდს „გაუმარჯოს“. ეს გუნდები და სიმღერისადმი სიყვარული დამეხმარა უნივერსიტეტის დამამთავრებელი სტრესული პერიოდის გადატანაში.

ჩემი პროფესიული კავშირი „ანჩისხატის გუნდთან“ და ქართულ სამეცნიერო წრეებთან უფრო მეტად გაღრმავდა, როდესაც მომიწია გალობის წყაროებზე მუშაობა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალი თვე გავატარე ქართული საგალობლების ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და ვასილ კარბელაშვილისეულ ხელნაწერებზე მუშაობ-

აში. ჩემს დისერტაციაში ხელნაწერები სი-
ღრმისეულადაა განხილული, მათი მღერის,
წერისა და ნოტებზე გადატანის კუთხით, აგრ-
ეთვე თითონ წიგნის ისტორია – მისი გადა-
სვლა ერთი მფლობელისგან მეორესთან, ორი,
სამი და ოთხი სხვადასხვა ადამიანის მიერ
მისი რედაქტირება, თუ როგორ გადაურჩა ობ-
სა და განადგურებას, როდესაც საბჭოთა პო-
ლიტიკის გამო ხელნაწერები სარდაფებში
ინახებოდა, დამარხული იყო თუნუქის ყუთე-
ბში ზედაზნის მონასტრის ეზოში!



ჯონ გრემი ოჯახთან ერთად

დისერტაციის შესავალ თავებში განხი-
ლულია ქართული გალობის შესახებ არსებუ-
ლი წყაროები, თვალსაზრისი მათი პალესტი-
ნური წარმომავლობის შესახებ, განვითარება
ტაო-კლარჯეთში, რუსეთის იმპერიის პერიოდში
ფეოდალური საქართველოს სხვადასხვა
„სკოლებში“ გადანაწილება, მათი ნოტებზე
გადატანის პროცესი, და ბოლოს, მათი ზეპირი
გადაცემა 19-20 საუკუნეებში. ძირითადი თავ-
ები დათმობილი აქვს ზეპირი ტრადიციის
უკანასკნელი ცოცხალი ოსტატების მიერ ნო-
ტებზე მათ ნაჩქარევად გადატანას (1880-იანი –
1910-იანი წლები). დასკვნითი თავები ისტო-
რიას შორდება და შეეხება კატეგორიზაციის,
დამახსოვრებისა და ჰარმონიზაციის საკით-
ხებს. აქ გვხვდება რვახმის სისტემა – კატეგო-
რიზაციის პრინციპი, რომელმაც გალობის ოს-

ტატებს საშუალება მისცა, მელოდიების მოდე-
ლები საგალობლებად დაეჯგუფებინათ და
ათასობით ნიმუში ზეპირად დაემახსოვრები-
ნათ, აგრეთვე ხერხები, რომლებიც სამი უმ-
თავრესი სამონასტრო სკოლის – გელათის, შე-
მოქმედისა და სვეტიცხოვლის მომღერლებმა
შეიმუშავეს მელოდიის ზოგადი მოდელების
მრავალხმიანი ჰარმონიზაციისათვის. წლების
მანძილზე კონსერვატორიისა და ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრის მრავალმა ქართველმა
მკვლევარმა დიდსულოვნად დამითმო დრო
და გამიზიარა თავისი ცოდნა; მათ სახელებს
დიდი მადლიერებით მოვიხსენიებ ჩემს
სადისერტაციო ნაშრომში.

ამჟამად საქართველოში ვცხოვრობ, მე-
უღლესთან ეკატერინე დისამიძესთან და ჩვენს
შვილებთან ერთად.

ქართული გალობის გადამრჩენელთა –
ექვთიმე კერესელიძის, მაქსიმე შარაძის, ალექ-
სანდრე ოქროპირიძისა და სხვა მრავალი ადა-
მიანის გმირული ისტორიების გაცნობის, მათ
ხელნაწერთან ყოველდღიური შეხების წყა-
ლობით უფრო მეტად დავაფასე ქართული
ტრადიციული გალობის „ნეო-ავთენტური“
შესრულების აღდგენისათვის „ანჩისხატის
გუნდისა“ და მათი მოწაფეების დღევანდელი
ძალისხმევა. ისტორია ღირსეულად შეაფასებს
მათ ღვაწლს. მომავალში ვაპირებ ჩემი დისერ-
ტაციის ნაწილი წიგნებად და სტატიებად გამ-
ოცვე; იმედი მაქვს, როგორც საგალობლების
წიგნების ინგლისურენოვანი ტექსტის რედაქ-
ტორი, გავაგრძელებ ჩემი მცირე წვლილის შე-
ტანას ქართული ტრადიციული გალობის შეს-
წავლისა და პოპულარიზაციის საქმეში და ვი-
ქნები ახალგაზრდა ქართველ თუ უცხოელ, ქა-
ლაქელ თუ სოფელელ მაგალობელთა მეგობარი
და აღმზრდელი, რომლებისგანაც კიდევ უფ-
რო მეტს შევითვებ იმ მუსიკის შესახებ, რო-
მელიც ყველას ასე გვიყვარს და სათუთად
ვუვლით.

ჯონ ანანდა გრემი
მუსიკოლოგიის დოქტორი

„გურიის ბულბული“ – სამუელ ჩავლეიშვილი



სამუელ ჩავლეიშვილი

გურიაში ვერ შეხვდებით ძველი თუ ახალი თაობის მომღერალს, ქართული სიმღერის მოტრფიალეს, ხალხური მუსიკალური საუნჯის შესახებ საუბრისას, გურული სიმღერის ჯადოქარი, სამუელ ჩავლეიშვილი რომ არ ახსენოს. უფრო მეტიც, ხალხური სიმღერისა და საგუნდო ხალოვნების განვითარებას თვალს თუ მივადევნებთ, დავინახავთ, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული გურიაში არსებული თითქმის ყველა საგუნდო კოლექტივი და ცნობილი მომღერალი სამუელ ჩავლეიშვილის სასიმღერო სტილის უშუალო გავლენას განიცდის.

სამუელ დავითის ძე ჩავლეიშვილი დაიბადა 1857 წელს ოზურგეთის მაზრის ასკანის თემის სოფელ ოქროსქედში.

პატარა სამუელს მუსიკალური სმენა და ხმა გვარად მოსდგამდა. მისი ოჯახი თავად სამუელ მაქსიმელაშვილის ყმად ითვლებოდა. თვით სამუელი კი თავადის სახლში ხელზე მოსამსახურე იყო. თავადი მაქსიმელაშვილი გურული სიმღერის კარგი მცოდნე ყოფილა. მას სოფელ ბაღდადში დიდი სასახლე ჰქონია, სადაც თავს იყრიდნენ სიმღერის მცოდნენიცა

და შესწავლის მსურველნიც. ამგვარად, მაქსიმელაშვილის სახლი ერთგვარ მუსიკალურ სალონს წარმოადგენდა. თავადს ასეთი წესი ჰქონია: თუ ვინმეში მუსიკალურ ნიჭს აღმოაჩენდა, ჯერ თვითონ ამცაადინებდა უფასოდ, შემდეგ თავის მეგობარს, ცნობილ მაგლობელ-მომღერალს, დათა გუგუნავას უზღავნიდა „დასაოსტატებლად“. სწორედ ამგვარი სკოლა გაიარა სამუელ ჩავლეიშვილმა, რომელსაც მაქსიმელაშვილის სახლში ოჯახის წევრივით სცემდნენ პატივს.

ჩავლეიშვილების შტოში მხოლოდ დედისერთები ყოფილან. დედამამიშვილი არც სამუელს ჰყოლია, ამიტომ ძმასავით უყვარდა და გვერდში ედგა თავისი ბიძაშვილი - ილარიონი, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე მღეროდა. სამუელს ჯერ კიდევ მაქსიმელაშვილთან ცხოვრების დროს, თავადის ინიციატივით შემოუკრებია მომღერლები და ანსამბლიც ჩამოუყალიბებია. ამ ანსამბლის წევრები შემდეგ სახელმოხვეჭილი ლოტბარებიც გახდნენ და სამუელ ჩავლეიშვილის სასიმღერო სტილი მთელ გურიაში გაავრცელეს. მათ შორის თავდაპირველად იყვნენ: სამუელ ჩხიკვიშვილი, ილარიონ ჩავლეიშვილი, ბესარიონ (ბესონიე) ინჭკირველი და ვლადიმერ (ლადიკო) დოლიძე. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ: ვარლამ სიმონიშვილი, ალექსანდრე (ალცანდრე) მახარაძე, სამსონ ურუშაძე და შალვა სიამაშვილი. ეს ჯგუფი სამუელის სიცოცხლის ბოლომდე არსებობდა და მოღვაწეობდა.

სამუელი და მისი მომღერალი მეგობრები გურიაში ყოველგვარი შეკრების უცვლელი მონაწილეები იყვნენ. თუმცა, საინტერესოა მათი ქალაქ ფოთში მოღვაწეობაც, სადაც სამუელ ჩავლეიშვილს სამიკიტნო გაუხსნია. ფოთში სამუშაოდ წასული გლეხებისთვის ეს სამიკიტნო თავშეყრის ერთ-ერთი მთავარი ადგილი გამხდარა. აქ საუკეთესო მომღერლები იკრიბებოდნენ, იყო გაუთავებელი სიმღერა, შეჯიბრი, რომელიც დილადაც გრძელდებოდა. ხალხი ფეხზე იდგა და არ იღლებოდა მოსმენით.

ცოტა მოგვიანებით, მომღერალთა ამ ჯგუფმა ოფიციალური გუნდის სახე მიიღო და კონცერტების გამართვა დაიწყო ოზურგეთში,

ქიათურაში, ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში, თუმცა, ძველებურად, მხოლოდ ენთუზი-აზმზე იყო დამყარებული.

1908 წელს ჩავლეიშვილის გუნდს მონაწილეობა მიუღია სოფელ სხვიტორში გამართულ აკაკი წერეთლის საიუბილეო ღონისძიებაში. ამას მოჰყოლია ანსამბლის პირველი ჩაწერა გრამფირფიტაზე აკაკის ინიციატივით. ამიერიდან ჩავლეიშვილის მოსმენა უფრო ხელმისაწვდომი გახდა, მის ჩანაწერებზე თაობები გაიზარდა...

სამუელ ჩავლეიშვილს ცხოვრების წესად ჰქონია მოსწავლეების წვრთნა. იგი გამუდმებით ეძებდა ნიჭიერ და ალღოიან ბავშვებს, მიჰყავდა თავისთან, აცხოვრებდა და ასწავლიდა. სხვადასხვა დროს მის ოჯახში თვეობით ცხოვრობდნენ ვლადიმერ ბერძენიშვილი, კალისტო რამიშვილი, ვახტანგ სიხარულიძე, გიორგი თალაკვაძე, აკაკი ბასილაშვილი და სხვ..

სამუელზე მხოლოდ მომღერალი ან სიმღერების მასწავლებელი როდი ითქმის. ის იყო ნამდვილი შემოქმედი. ყოველი შესრულებისას ძველ სიმღერას ახლებურად მღეროდა და ამით ახალ-ახალ ვარიანტებს ქმნიდა. ერთ წვეულებაში სუფრული სიმღერა „წამოკრული“ 50-ჯერ გაუმეორებია და სულ სხვადასხვანაირად უთქვამს. სამუელ ჩხიკვიშვილის თქმით, „გურული სიმღერები, თითქმის ყველა, სამუელის და ილარიონის მიერაა გალამაზებული“. ვახტანგ სიხარულიძე სამუელ ჩავლეიშვილს გალაკტიონ ტაბიძეს ადარებდა: „როგორც გალაკტიონმა აიყვანა ერთბაშად ამ სიმაღლეზე ქართული პოეზია, ასევე სამუელმა ახალი ჰორიზონტი გაუხსნა ქართულ ხალხურ სიმღერას“. ცნობილი ლოტბარი და მომღერალი ვასილ მახარაძე აღნიშნავდა: „სამუელ ჩავლეიშვილმა გადატრიალება მოახდინა გურულ სიმღერაში. ყოველგვარ მანამდე არსებულ კანონებს გადაუხვია და შემოიღო ე.წ. „თავისუფალი სიმღერა“, რაც სიამოვნებით აიტაცეს ბუნებით თავისუფლებისმოყვარე გურულებმა“. ისიც უნდა ითქვას, რომ სამუელს კომპოზიციის შინაგანი ნიჭი ჰქონდა, უყვარდა სიმღერის გართულება, მაგრამ ზომიერად მეტად არა. ამას ხშირად ასე ხსნიდა: „თოკს რომ დაგრეხ, მაგარია, ძალიან თუ გადაგრეხ, გაწყდება“, ე.ი. სიმღერას გამუ-

ვენება-გალამაზება სჭირდება, ოღონდ ზომიერად, სიმღერა რომ არ დაიშალოს.



სამუელ ჩავლეიშვილის გუნდი

სამუელ ჩავლეიშვილის სახელი მთელ გურიაში ქუხდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა, დამწყები თუ უკვე სახელმოხვეჭილი მომღერალი, მის გაცნობას ცდილობდა. თუმცა, სამუელს მარტო გურიაში როდი აღიარებდნენ სიმღერის უბადლო ოსტატად. ჩამოუთვლელია მისი გაზრდილი მოწაფეები, როგორც გურიაში, ისე სამეგრელოში: ვლადიმერ ბერძენიშვილი, ბარნაბი სიხარულიძე, ვახტანგ და ერმალო სიხარულიძეები, კაპიტონ ჩხიკვაძე, ხუხუნაიშვილები, გუმბარიძეები, ილიკო მორჩილაძე, ივანე ჩხაიძე, პორფილე გაბელია, კირილე პაჭკორია, რემა შელეგია, ძუკუ ლოლუა, კიწი გეგეჭკორი... აღსანიშნავია, რომ ყველა მომღერალს უყვარდა ურთიერთობაში სადა, უბრალო, უბოროტო, მიმტევებელი, ძალიან თავმდაბალი ადამიანი. ვლადიმერ ბერძენიშვილის აზრით, „სამუელმა თავისი ფასი იცოდა, გრძნობდა, რომ დიდი მომღერალი იყო, მაგრამ ამით თავი არ მოჰქონდა... კეთილი კაცი იყო, პატიოსანი, ხასიათით მოსიყვარულე; მტერი რომ ყოფილიყო, ისიც უყვარდა; შემოქმედი – განუმეორებელი; შეეძლო რაღაც უბრალო, მოკლე ამოღინებული მელოდია ისეთ სიმღერად ექცია, შედეგრი შეექმნა. ამას ნიჭი უნდა, გემოვნება და ზომიერება“. ვლადიმერ ბერძენიშვილი სამუელ ჩავლეიშვილზე 33 წლის უმცროსი ყოფილა, მაგრამ პირველივე შეხვედრისას დამეგობრებულან. ერთხელ ლადიმე დილაადრიან სწვევია სამუელს. ეს უკანასკნელი ხე-

ივანში მჯდარა და ჩიტების გალობას სულ-განაბული უსმენდა თურმე. წინ რამდენიმე სხვადასხვა ზომის სასტვენნი ეწყო და ხან ერთს ჩაჰბერავდა, ხან – მეორეს. მისალმების შემდეგ ლადიმეს უკითხავს, რას აკეთებდიო, სამუელს კი უპასუხია: „დოუგდე ჩიტებს ყური, იქ ჩხართი გალობს, აქ – შაშვი, იქით იადონის ხმა ისმის, გეყურება იგი? შენ რაც ჩემს სიმღერაში მოგწონს, ის ჯიბეში კი არ მიწყვია? ასეთნაირად დავეძებდიო“. თურმე სასტვენებით ჩიტების ჭიკჭიკს ბამავდა, მელოდიას აყალიბებდა და ფიქრობდა, რომელ სიმღერაში ჩაჯდებოდა, რომელს მოერგებოდა. ასე ეძებდა თავის იმპროვიზაციებს...

სამუელის შვილთაშვილი, სამსონ ჩავლეიშვილი იხსენებს: „მამაჩემისგან ვიცი, სამუელს საოცარი ხორხი ჰქონია, როგორც საბერველი; ყველა ხმა იცოდა, მაგრამ ანსამბლში მარტო პირველს მღეროდა. უნიკალური ყელის აპარატი ჰქონდა. მან განვითარების უმაღლეს დონეზე აიყვანა პირველი ხმა... ვასილ მახარაძე იგონებს: „როცა სიმღერას დაიწყებდა, ყველას აჯადოებდა შესრულების ოსტატობითა და განუმეორებელი ტემბრით. ამიტომ „გურიის ბულბული“ შეარქვეს და დღემდე რჩება, როგორც პირველი ხმის საუკეთესო შემსრულებელი“. მოსე სიხარულიძის ცნობით, „სამუელმა სიმღერა კრიმანჭულით დაიწყო. ძალიან ძლიერი, „ნემსის ყუნწში რომ გააძვრენდა“, ისეთი ხმა ჰქონდა. შემდეგ ისეთი პირველი ხმა დადგა, რომლის მსგავსი ქართულ მუსიკას არ გააჩნია ამ შტოს სიმღერებში“.

სუფსის გუნდის ერთ-ერთ მომღერალს, ივანე ჩხაიძეს, რომელსაც 104 წლის ასაკში სამუელ ჩავლეიშვილის ჩანაწერები მოასმენინეს, აღფრთოვანებულს წამოუძახია: „მაგვერი პირველი ხმაი ჯერ არ დაბადებულა და მომავალშიც მეექვსეა, რომ დეიბადოსო“. ესეც ივანე ჩხაიძის მოგონებებიდანაა: „მაგისი დალლა არ იყო. სამი დღე ქეიფით და სიმღერით გადაუბია ერთმანეთზე და ხმას ბზარიც არ დატყობია... სიმღერას ორჯერ არ გაიმეორებდა. როცა სხვას შეასწავლიდა თავის ხმას, მოსწავლის გასაკვირვებლად თვითონ სულ სხვანაირად იმღერებდა მერე“.

ანანია ერქომაიშვილის სიტყვებით, „ასეთი ხმის პატრონი არც ყოფილა და არც იქნება... ის ბუნებით იყო დაჯილდოვებული“. უმაღლეს შეფასებას აძლევდა სამუელ ჩავლეიშვილის ნიჭსა და ოსტატობას არტემ ერქომაიშვილი. მისი აზრით, „სამუელი გურული სიმღერის ყველა დროის საუკეთესო მომღერალი იყო. ის იყო რეფორმატორი, რომლის ხელში გურული სიმღერები გამშვენიდა, გამრავალფეროვნდა, გართულდა და გალამაზდა... სამუელმა გურული სიმღერის პირველი ხმა შესრულების უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ძალიან დიდი ოსტატი უნდა ყოფილიყავი, რომ სიმღერაში სამუელს გაჰყოლოდი“.

ანზორ ერქომაიშვილის გადმოცემით, სამუელის ჩანაწერების მოსმენისას ყოველი სიმღერის შემდეგ არტემი ფეხზე დგებოდა და ტაშს უკრავდა. სამუელი მისთვის უმაღლესი საშემსრულებლო საზომი და მეტრი იყო.

ჩვენც საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ ამ უდიდეს მომღერალს.

მარინა კვიცინაძე

„აკრიანი“

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „აკრიანი“ მარტყოფის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის უმცროს და უფროსკლასელთა გაერთიანებული გუნდის ბაზაზე შეიქმნა. მოსწავლეთა ასაკი 7-დან 16 წლამდეა, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ზოგიერთი მოსწავლე სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგაც რჩება ანსამბლში.

„აკრიანის“ ნათლობა 2013 წლის თელავის კახური მუსიკის ფესტივალს უკავშირდება. გუნდისათვის სახელის შერჩევა ექსპრომტად, იქვე, ფესტივალზე გასვლის წინ მოხდა, თუმცა დიდხანს არ გვიფიქრია. „აკრიანი“ მარტყოფის ძველი ტოპონიმია. ისტორიული წყაროების მიხედვით, სოფელი მარტყოფი წმიდა ასურელი მამის, ანტონის მოღვაწეობამდე „აკრიანად“, ანუ ქვიან ადგილად იწოდებოდა. სწორედ აკრიანის მთებში, მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ მონასტერში დამკვიდრებულა სამოღვაწეოდ ბერი ანტონი... მარტყოფის ანსამბლისთვის ამაზე შესაფერისი სახელი რა უნდა გვეწოდებინა!



ანსამბლი „აკრიანი“ კონსერვატორიის მცირე დარბაზში

„აკრიანის“ რეპერტუარი ქართული ხალხური, ქალაქური და საეკლესიო მუსიკის ნიმუშებს მოიცავს. ვასრულებთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნიმუშს. თუმცა, ანსამბლის რეპერტუარში მაინც მშობლიური მხარის, აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორი დომინირებს. ვცდი-

ლობ, ბავშვებს, შეძლებისდაგვარად, სიმღერების ყველა ხმა შევასწავლო, საფერხულო და საცეკვაო ნიმუშები შესაბამისად შევასრულოთ; დავეუფლოთ ხალხურ საკრავებსაც... ჩემთვის, როგორც ლოტბარისთვის, მთავარი ტრადიციული საშემსრულებლო პრინციპების დაცვაა, ამიტომ, სიმღერებს ძირითადად საარქივო ჩანაწერებიდან ვსწავლობთ, თუმცა, არც მოქმედი ტრადიციული ანსამბლების ჩანაწერებს ვტოვებთ უყურადღებოდ.

„აკრიანი“ ანსამბლად ჩამოყალიბებამდეც და შემდგომაც, წარმატებით მონაწილეობს არაერთ შიდასასკოლო, რაიონულ თუ გასვლით ღონისძიება-კონცერტებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფესტივალებში, კონფერენციების საკონცერტო პროგრამებში, ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის საღამოებში, სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებში.

ანსამბლს მიღებული აქვს არაერთი დიპლომი და პრიზი საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, სიღნაღი, მცხეთა, ახალციხე, გურჯაანი და სხვა) გამართულ ეროვნულ ფესტივალებზე წარმატებული გამოსვლისათვის. 2012 წლის თეიმურაზ ჯანელიძის სახელობის საგუნდო მუსიკის ფესტივალზე (ანსამბლად ჩამოყალიბებამდე) გაიმარჯვა ნომინაციაში „ხალხური სიმღერის საუკეთესო ავთენტიკური შემსრულებელი“.

„აკრიანი“ ადგილობრივი საგუნდო მუსიკის კონკურსების ხშირი მონაწილეცაა. მან გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების I (2015 წ) და III (2017 წ) ეროვნულ კონკურსებზე. 2015 წელს კატეგორიაში ქართული ხალხური სიმღერა აიღო I ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება, ხოლო 2017 წელს კატეგორიაში ქართული საეკლესიო გალობა ოქროს მედლით დაჯილდოვდა, ხოლო კატეგორიაში ხალხური სიმღერა I ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ანსამბლს გამართული აქვს ორი კონცერტი (2016 და 2017 წლებში) მარტყოფის კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში.

ის ხშირი მონაწილეა ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის ღონისძიებებისა.



ანსამბლი „აკრიანი“ თურქეთის ფესტივალზე

2017 წლის 3-6 ივნისს „აკრიანი“ იმყოფებოდა თურქეთში, ქალაქ სტამბულში, სადაც მონაწილეობა მიიღო ფერას საგუნდო მუსიკის I საერთაშორისო ფესტივალში და დაჯილდოვდა სპეციალური პრიზითა და დიპლომებით. 5 ივნისს კი, ქ. სტამბულის ქართული ხელოვნების სახლის სამხატვრო ხელმძღვანელის, იბერია ოზგან მელაშვილის მიწვევით, თურქეთის ქართულ სათვისტომოში კონცერტი გამართა.

ჩემი აზრით, ძირითადი მიზანი მიღწეულია: მუსიკალური სკოლის მოსწავლეები დიდ პატივად მიიჩნევენ ანსამბლის წევრობას და სიხარულით დადიან რეპეტიციებზე; კლასიკურ საგუნდო ნაწარმოებებს, რომელიც სამუსიკო სკოლის სასწალო პროგრამითაა გათვალისწინებული, ხალხური სიმღერები ურჩევნიათ. როგორც ჩანს, შინაგანადაც გრძნობენ მათთან სიახლოვეს და გარდა ამისა, შეგნებული აქვთ, რომ წინაპართაგან დანატოვარ ეროვნულ საგანძურს მოფრთხილება, დაფასება და პოპულარიზება სჭირდება.

ეკატერინე შოშიაშვილი
ლოტბარი, ანსამბლის ხელმძღვანელი

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი

სეტოს ლეელო-გუნდი „ვერსკა ნასე“ ესტონეთიდან

სეტო მცირერიცხოვანი აბორიგენი ხალხია, რომელიც ცხოვრობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთსა და რუსეთის ფსკოვის ოლქის სასაზღვრო ზოლში. ამჟამად მათი დაახლოებით ნახევარზე მეტი ცხოვრობს ესტონეთის სხვადასხვა კუთხეში, ისტორიული სეტომას ფარგლებს გარეთ. წარსულთან შედარებით ძალიან ცოტა სეტო ცხოვრობს რუსეთის საზღვრის მიღმა. მისი ენა ბალტიის ფინურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება და ძალიან ახლოსაა სამხრეთ-ესტონურთან.

სეტოს ხალხს ძალიან კარგად აქვს შემონახული ტრადიციული კულტურა. მისი კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ელემენტი არის ტრადიციული სიმღერა სახელწოდებით ლეელო, რომელიც დღემდე ზეპირი გზით გადაიცემა და 10 კაციანი, ე.წ. ლეელო-გუნდების მიერ სრულდება.



ანსამბლი „ვერსკა ნასე“

ლეელო წარმოშობით ფინური ტრადიციაა, რომელიც დაახლოებით 2000 წელს ითვლის, მრავალხმიანია და თავის უძველეს შრეში უნიკალურ ერთ-სამ-ნახევარტონიან ბგერათრიგს იყენებს, რაც შესრულებას ორიგინალურ ჟღერადობას ანიჭებს (ნიმუშების ბმულები იხილეთ ქვემოთ). ძველი ბგერათრიგი უწყვეტი ზეპირი ტრადიციიდან თანდათან ქრება, მაგრამ რამდენიმე ლეელო-

გუნდმა ამ ძველი ტრადიციის გაცოცხლება დაიწყო. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია გუნდი „ვერსკა ნაასე“, რაც „ვერსკელ ქალებს“ ნიშნავს.

გუნდი 2008 წელს სეტომაში შექმნეს ახალგაზრდა ქალბატონებმა სოფელ ვერსკადან, რომელთა სურვილი იყო, ემღერათ მათთვის ცოცხალი ტრადიციით გადაცემული სიმღერები და, ამავე დროს, გაეცოცხლებინათ საინტერესო ნიმუშები საარქივო ჩანაწერებიდან. გუნდის წევრთა უმრავლესობის დედები და ბებიები იყვნენ ან არიან ცნობილი მომღერლები. ზოგი მათგანი *ლეელო* გუნდებშიც მღეროდა.

ამგვარად „ვერსკა ნაასეს“ რეპერტუარი მოიცავს ძველ სიმღერებსა და საარქივო ჩანაწერებიდან შესწავლილ ნიმუშებს. ეს უკანასკნელნი უმეტესად უნიკალურ ერთ-სამ-ნახევარტონიან ბგერათრიგშია, რაც გუნდის წევრებმა ამ ბგერათრიგის შესახებ თანამედროვე თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით შეისწავლეს. ისინი ამბობენ, რომ ძველი ბგერათრიგი მომხიბვლელია და მელოდიის შეცვლის მდიდარ შესაძლებლობას იძლევა, რაც სიმღერას სიკაშკაშეს, ხოლო ყოველ შესრულებას უნიკალურობას მატებს.

ვინაიდან მელოდია ტექსტზე არ არის დამოკიდებული, ყველა წამყვან მომღერალს სურვილისამებრ შეუძლია გამოიყენოს ის სიტყვები, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს. ადგილობრივ ტრადიციაში ძალიან ფასობს იმპროვიზაციის უნარი და გუნდის წევრებს შეუძლიათ ტექსტის იმპროვიზაცია სიტუაციიდან გამომდინარე.

გუნდი „ვერსკა ნაალე“ აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალში ესტონეთსა და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, საქართველოშიც, 2014 წელს. ისინი არა მხოლოდ სცენაზე მღერიან, არამედ მონაწილეობენ სოფლის დღესასწაულებსა და სპონტანურ სიტუაციებშიც.



ანსამბლი „ვერსკა ნაასე“

„ვერსკა ნაასეს“ წევრები არიან: იანე ვაბარნა (ხელმძღვანელი), მარიკა კეერპალუ, ელო ტუუმი, ტინა კადარპიკი, რინ ტამმისტე, მერლე სუსსი, ევე კაპტენი, მარიე ლინნუსი, იანიკა ტეერვალტი, კრისტიინა სოკკი, მერიკე ტეინი, ელინა კეერპალუ, მეელიკე კრუუსამე.

ჯანიკა ორასი

*ესტონეთის ლიტერატურული მუზეუმის
ფოლკლორის არქივის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

ბმულები:

„ვერსკა ნაასე“

<https://www.youtube.com/watch?v=1m3VYREZB5Y>

<https://www.youtube.com/watch?v=ac87OnPAimY>

<https://www.youtube.com/watch?v=7qK67nQmsas>

სეტოს მრავალხმიანი სიმღერა ერთ-სამ-ნახევარტონიან ბგერათრიგში

<https://www.youtube.com/watch?v=cmDgOjiR2dc>

<http://www.folklore.ee/pubte/eraamat/rahvamuusika/en/010-Kate-kaskimine>

<http://www.folklore.ee/pubte/eraamat/rahvamuusika/en/050-Peigmees-tuuakse-laua-taha>

<http://www.folklore.ee/pubte/eraamat/rahvamuusika/en/051-Ehi-veli>

<http://www.folklore.ee/pubte/eraamat/rahvamuusika/en/052-Morsja-itkeb-vennale>

<http://www.folklore.ee/pubte/eraamat/rahvamuusika/en/054-Neiud-itkevad-sopra>

სეტოს ლეელო

<https://www.youtube.com/watch?v=mSXcYph-ODc>

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი 10 წლისაა

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი სათავეს იღებს „ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრიდან“, რომელიც 2006 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ დაფუძნდა. უნივერსიტეტის შექმნის სათავეებთან იდგნენ ამჟამად გარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე) და ქართული ხალხური სიმღერა-გალობის დიდი მოამაგე ანზორ ერქომაიშვილი. სასწავლებლის შექმნის იდეას ფინანსურად მხარი დაუჭირა ქართული ტრადიციული მუსიკის მოყვარულმა ბიზნესმენმა, მეცენატმა ივანე ჩხარტიშვილმა.



უნივერსიტეტის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი ნანა გოთუა

2014 წელს უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის სტატუსი მიენიჭა (გალობის უნივერსიტეტი), 2014 წლის კურსდამთავრებულებს კი, პირველად საქართველოს საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო სივრცეში, სახელმწიფოს მიერ აღიარებული, უმაღლესი განათლების დიპლომები

გადაეცათ. დაარსებიდან დღემდე გალობის უნივერსიტეტი სტუდენტთა ექვსმა ნაკადმა დაასრულა.

სასწავლებელი სპეციალიზებულია ქართული საეკლესიო გალობის რეგენტების, ხალხური სიმღერის ლოტბარებისა და საეკლესიო მუსიკის მკვლევრების მომზადებაზე, რაც, პირველ რიგში, ითვალისწინებს საქართველოს მართლმადიდებლურ ტაძრებში, ასევე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უცხოეთში არსებულ ეპარქიებში პროფესიონალ მგალობელთა გუნდების ჩამოყალიბებასა და ტრადიციული ქართული გალობის აღდგენას. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ქართული ფოლკლორული მუსიკის დამკვიდრება-პოპულარიზაცია.



უნივერსიტეტის რექტორი,
არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე)

სასწავლებელს აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები. გარდა ამისა, აბიტურიენტებს მოსამზადებელ კურსებსაც სთავაზობს. ბაკალავრიატში სტუდენტების პროფესიული დაოსტატება მიმდინარეობს 4 შემოქმედებით სახელოსნოში (სამი ვაჟთა და ერთი ქალთა). ამ ოთხწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საეკლესიო მუსიკის ბაკალავრის ხარისხი. ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საეკლესიო მუსიკისმცოდნის მაგისტრის ხარისხი.

გარდა თეორიული მუსიკალური საგნებისა (ქართული საეკლესიო გალობის ისტორია და თეორია, ქართული ხალხური მუსიკა-

ლური შემოქმედება, მუსიკის თეორია, ქართული სოლოფეჯიო, ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის კანონზომიერებანი, საეკლესიო მუსიკის ესთეტიკა, დასავლეთევროპული საეკლესიო მუსიკა), სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საღვთისმეტყველო პროგრამას. აქ ისწავლება ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, დოგმატიკა, ლიტურგიკა, ლიტურგიკული კითხვა, ლიტურგიკული ღვთისმეტყველება, ჰიმნოგრაფია, საეკლესიო მუსიკის ესთეტიკა. ასევე, საინტერესოაა წარმოდგენილი ზოგადსაზოგადოებრივი მოდულის შემდეგი საგნები: საქართველოს ეკლესიის ისტორია, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, აკადემიური წერა, საეკლესიო ხელოვნების ისტორია, კულტუროლოგია, ინგლისური ენა.

სასწავლებელს ემსახურება 12 კეთილმოწყობილი აუდიტორია, კომპიუტერებითა და საპრეზენტაციო აპარატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და ფონოთეკა.

2016-2017 სასწავლო წელს ფონდ „ქართული გალობისა“ და მისი გენერალური დირექტორის, ნანა გოთუას პირადი შემოწირულებით, უნივერსიტეტს გადაეცა საერთაშორისო სტანდარტების მუსიკალური ტექნოლოგიების სტუდია, სადაც სტუდენტები სწავლობენ კომპიუტერული ნოტაციის ტექნიკას, ეუფლებიან აკუსტიკური მუსიკის ჩაწერის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელთა ცოდნა აუცილებელია როგორც სტუდენტური ჩაწერისას, ასევე საკონცერტო დარბაზში, ტამარსა თუ ღია სივრცეში მუშაობისას. სტუდენტები სწავლობენ არამარტო ჩაწერის ტექნიკას, არამედ ჩანაწერის გასუფთავებას, რედაქტირებას, „მიქსინგს“ და „მასტერინგს“, რაც უფრო მეტად გაზრდის მათი დასაქმების არეალს; მობილური სტუდიის საშუალებით განხორციელებული ექსპედიციები კი საფუძველად დაედება სასწავლებლის აუდიო და სანოტო არქივის დაარსებას.

„ქართული გალობა“ სასწავლებლის სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში ეხმარება, იქნება ეს გასტროლები, კონცერტები, კონფერენციები, ექსკურსიები თუ საზეიმო ღონისძიებები. წარჩინებულ სტუდენტებს ფონდი გიორგი მთაწმინდელის

სახელობის სტიპენდიით აჯილდოვებს (ბოლო ერთი წელია სტიპენდია დაენიშნა ყველა სტუდენტ დედას), ხოლო სასწავლებლის მაღალი აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ასაქმებს, სადაც ისინი მაგალობელთა და მომღერალთა გუნდებს აყალიბებენ.

აქტიური საკონცერტო მოღვაწეობით გამოირჩევა გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანებული გუნდი, რომლის ხელმძღვანელია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე.



გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები

უნივერსიტეტში სისტემატურად იმართება საჯარო ლექციები, შეხვედრები ტრადიციული ხელოვნების მოღვაწეებთან. ამ ღონისძიებებში მონაწილეობენ, როგორც სასწავლებლის პროფესორები და პედაგოგები, ასევე მოწვეული სპეციალისტები, მათ შორის – უცხოელი მეცნიერებიც.

2006 წლის 19 სექტემბერს, სასწავლებლის შენობის კურთხევისას, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ბრძანა: „ჩვენ ვიწყებთ ძალიან დიდ საქმეს. დარწმუნებული ვარ, ის ლოტბარები, ვისაც ჩვენ აღვზრდით, მთელ საქართველოში შექმნიან გუნდებს, რომელთა მეშვეობითაც მთელი საქართველო ადიდებს უფალს“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მოწოდება უნივერსიტეტის მიერ წარმატებით ხორციელდება.

სასწავლებლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ: www.galoba.edu.ge

ქართული ანსამბლის წარმატება შვეიცარიაში

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მჭელი“ უკვე 6 წელია არსებობს ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმთან. ანსამბლის ხელმძღვანელები არიან მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ეთნომუსიკოლოგი ქეთევან ბაიაშვილი და ანსამბლ „მთიების“ სოლისტი გივი ქსოვრელი, რომელთაც იმთავითვე დაისახეს მიზნად, ყველა ქართულ დიალექტში მოეძიებინათ, გაეცოცხლებინათ, საზოგადოებისთვის მისაწვდომი და პოპულარული გაეხადათ სრულიად უსამართლოდ მივიწყებული თუ თანამედროვე შემსრულებლების მიერ ამა თუ იმ მიზეზით „დაწუნებული“ სიმღერები.



ანსამბლი „მჭელი“ შვეიცარიელებთან ერთად

თავდაპირველად ანსამბლმა შეისწავლა ჩრდილში მოქცეული ქართული სიმღერები. ამას აღმოსავლეთ საქართველოს მთის-ხევსურული, ფშაური, თუშური ნიმუშები მოჰყვა, რომლებიც „მჭელმა“ „ცოცხალ სამუზეუმო ექსპონატებად“ აქცია. ამის შემდეგ ცნობილი კახური სიმღერების კარგად დავიწყებული ვარიანტები მოვიძიეთ... ანსამბლის 4 წევრი წარმომოხილეთ თიანეთიდანაა. ამ კუთხის სიმღერების შესრულების დიდმა სურვილმა ანსამბლის რეპერტუარს თიანეთში ჩაწერილი და დღემდე სრულიად მივიწყებული ნიმუშებიც შეჰმატა.

„მჭელი“ აგრძელებს ქართული ხალხური სიმღერის „სამუზეუმო“ ნიმუშების გაცოცხლებას და დასავლურ ქართულ ვარიანტებსაც ეძებს. შესწავლილია რამდენიმე მეგრული, აჭარული, გურული, ასევე, ქალაქური სიმღერა.

ანსამბლი მომსახურებას უწევს მუზეუმში მოსულ ვიზიტორებსაც, რომელთა შორის ხშირად უცხოელები არიან. მუზეუმის დავალიერების შემდეგ სტუმრები ქართული სიმღერის ცოცხლად მოსმენის სურვილს გამოთქვამენ, ესწრებიან „მჭელის“ რეპეტიციებს და სწავლობენ ხალხურ სიმღერებს, რაც მათში აღფრთოვანებას იწვევს.

თავისი საშემსრულებლო პრინციპებით „მჭელი“ ედიშერ გარაყანიძის სტილის გამგრძელებელი და დამცველია. ავთენტიკურობა – ბუნებრიობა, თავისუფლება, იმპროვიზაციულობა, ქმედება სიმღერის შესრულებისას – არის ამოსავალი წერტილი ანსამბლისთვის. სწორედ ამ საშემსრულებლო სტილით იყო ნაკარნახევი ძველი რიტუალების აღდგენის იდეა. დაწყებულია მუშაობა შრომის, ბერიკაობის, გლოვის რიტუალებზე. წესად დამკვიდრდა ყოველ წელს აღდგომასა და შობას ალილოსა და ჭონაზე სიარული სხვადასხვა სოფელში, რაც შეუფასებელი გამოცდილებაა ასეთი ტიპის ანსამბლისათვის და განსაკუთრებული სიხარული – სოფლის მოსახლეობისათვის.

2017 წლის 15-25 სექტემბერს ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფებოდა შვეიცარიაში. ეს გასტროლი საქართველოსა და მისი კულტურის დიდი მოყვარულისა და გულშემტკივრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, თომას ჰოიზერმანის ძალისხმევით დაიგეგმა და განხორციელდა.

„მჭელმა“ 7 კონცერტი გამართა შვეიცარიის 7 ქალაქში. კონცერტები ძირითადად ისტორიულ ადგილებსა და ძველ ტაძრებში ჩატარდა, თუმცა, იყო კონცერტები თოჯინების თეატრსა და არქეოლოგიურ მუზეუმშიც. ციურინში არსებობს საქართველოს დამხმარეთა საზოგადოება, რომლის პრეზიდენტია ბატონი თომასი. საზოგადოებაში გაერთიანებული არიან ყოვლად კეთილმოსურნე და განათლებული ადამიანები, რომელთაც კარგად იციან საქართველოში ხალხური სიმღერის შემსრულებელთა დღევანდელი მდგო-

მარეობა და სურვილი აქვთ, დაეხმარონ მათ. ამ საზოგადოებამ იტვირთა ანსამბლის მასპინძლობა და კონცერტების ორგანიზება.



კონცერტი შვეიცარიაში

ანსამბლს მოუწია მეტად დატვირთული პროგრამის შესრულება. თანაც, ეს მათი პირველი გასტროლი იყო უცხოეთში.

განსაკუთრებული მღელვარება ახლდა პირველ კონცერტს, თუმცა, წარმატებამ ფრთები შეასხა ბიჭებს და შემდეგ კონცერტებზე მეტი გაბედულება და თავისუფლება იგრძნეს. შვეიცარელი მაყურებელი ძალიან მომთხოვნი და მკაცრი შემფასებელია. ისინი დიდი გულსყურით ისმენდნენ და გასაოცარი რეაქციები ჰქონდათ ამა თუ იმ მოქმედებაზე. „მჭელის“ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი წამყვანის – თომას ჰოიზერმანის არაჩვეულებრივად ზუსტმა თარგმანებმა და კომენტარებმა. განურჩევლად ყველა კონცერტი დიდი ოვაციებით სრულდებოდა. მაყურებლები დიდად აფასებდნენ ავთენტურობას სიმღერაში, სცენაზე თავისუფალ მოქმედებას. ანსამბლის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საცეკვაო სიმღერების შესრულებისას ცეკვისადმი თავისუფალი დამოკიდებულება, რაც აღაფრთოვანებდა მაყურებელს. საგანგებოდ აღინიშნა ანსამბლის ფართო რეპერტუარი – ყველა კონცერტი განსახვავებული პროგრამით წარიმართა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რიტუალების შესრულებამ. ანსამბლმა წარმოადგინა *ბერიკაობის* რამდენიმე სცენა და შრომის რიტუალი. კონცერტის შემდეგ მოდიოდნენ მაყურებლები და სვამდნენ შეკითხვებს ამათუიმ კუთხესა თუ სასიმღერო

სტილზე, რიტუალებში ამათუიმ სიმღერისათუ ქმედების დანიშნულებაზე.

დასამახსოვრებელი იყო ბერნში ჩატარებული კონცერტი. ამ ქალაქში 11 ემიგრანტი ოჯახი ცხოვრობს საქართველოდან. კონცერტს სწორედ ისინი ესწრებოდნენ. მეტად გულთბილი იყო მათთან შეხვედრა და საუბარი, სამახსოვრო ფოტოების გადაღება...

კონცერტების ორგანიზატორებმა ანსამბლ „მჭელთან“ მომავალი შეხვედრების სურვილიც გამოთქვეს. შვეიცარიაში მოგზაურობა შესანიშნავი გამოცდილება იყო ახალგაზრდა ანსამბლისათვის.

ქეთევან ზაიაშვილი

ანსამბლ „მჭელის“ ხელმძღვანელი

ერთი ახალი გამოცემის შესახებ

ზაქარია ფალიაშვილი



ზაქარია ფალიაშვილი
ZAKARIA PALIAŠVILI

თბილისის მუნიციპალური მუზეუმების გაერთიანებამ გამოსცა დიდი ქართველი კომპოზიტორის, დირიჟორის, პედაგოგისა და ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებლის, ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ორენოვანი ალბომი სახელწოდებით *ზაქარია ფალიაშვილი*. პუბლიკაციაში ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი პირადი წერილები, მდიდარი ფოტომასალა და სხვადასხვა საარქივო დოკუმენტებია წარმოდგენილი, რომლებიც მოგვითხრობს კომპოზიტორის ცხოვრების ღირსშესანიშნავი ფაქტებისა და შემოქმე-

გორდელაძეები

დებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. წიგნი მიზნად ისახავს, სამუზეუმო ფონდებსა თუ არქივებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის გამომწვეურებით ზაქარია ფალიაშვილის ღვაწლის სრულყოფილად წარმოჩენას.

პუბლიკაცია შექმნილია „თბილისის მუზეუმების გაერთიანება – ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის“ ფონდში დაცული ექსპონატების, საქართველოს ეროვნული არქივის, ასევე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მასალების, ქართულ პერიოდიკაში წლების მანძილზე დაბეჭდილი სამუსიკისმცოდნეო სტატიებისა და გამოქვეყნებული თუ დღემდე გამოუქვეყნებელი მონოგრაფიული ნაშრომების საფუძველზე.

გამოცემა შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას ზაქარია ფალიაშვილის, როგორც საკომპოზიტორო შემოქმედების, ისე ფოლკლორისტული მოღვაწეობის შესახებ. მასში შეტანილია კომპოზიტორის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს ფონოგრაფით ჩაწერილი და შემდგომ გაშიფრული სიმღერების კრებულების წინასიტყვაობებიც, რომელიც ზაქარია ფალიაშვილს გვაცნობს, როგორც პროფესიონალ ფოლკლორისტსა და ჭეშმარიტად ეროვნულ კომპოზიტორს.

ფორმით, შინაარსითა და მაღალი პოლიგრაფიული დონით მსგავსი მასშტაბის კვლევითი პუბლიკაცია ზაქარია ფალიაშვილის შესახებ პირველად გამოიცა.

ალბომის შედენა შესაძლებელია ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმში
ელ.ფოსტა: infotbilisimuseumsunion@gmail.com

ვაგრძელებთ მკითხველისათვის საოჯახო ანსამბლების გაცნობას, რომლებიც, ამ ბოლო დროს, საბედნიეროდ, მომრავლდნენ საქართველოში. ამჯერად გორდელაძეთა მომღერალი ოჯახი გვინდა წარმოვიდგინოთ, რომელიც საოჯახო მუზიციურების ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია.

გორდელაძეები ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში ცხოვრობენ. დეკანოზ მათე (ვლადიმერ) გორდელაძესა და მის მეუღლეს, ნათია ლაქონიას 4 წევლი ქალ-ვაჟი ჰყავთ. ოჯახურ ანსამბლს უფროსი ვაჟი, გიორგი გორდელაძე ხელმძღვანელობს. სწორედ მასთან გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა, სოფიკო კოტრიკაძემ ჩაიწერა.

ს.კ. – მოგვიყვით გორდელაძეთა გვარის შესახებ. იყო თუ არა სასიმღერო ტრადიციის მატარებელი ეს გვარი?

გ.გ. – გორდელაძეთა გვარი გამორჩეული იყო სოფელ ლიხაურში. ამას ადასტურებს ჩვენს სოფელში ჩატარებული ექსპედიციებიც. 1963 წელს სოფელ ლიხაურში გრიგოლ ჩხიკვაძეს 25 გურული სიმღერა ჩაუწერია. სიმღერების შემსრულებელთა უმრავლესობა გორდელაძეები იყვნენ.



გორდელაძეების საოჯახო ანსამბლი

გარდა ამისა, სიმღერის ნიჭი ბებისგანაც დაგვყვა. ბებიაჩემი გვარად ჩავლექიშვილი იყო.

მისი ბიძა – აპოლონ ჩავლეიშვილი ცნობილი მომღერალი და ლოტბარი გახლდათ. აპოლონის ბაბუა და მამა ეკლესიის მსახურები იყვნენ, ბაბუა გალობდა კიდევ. ბებიას სიმღერა სწორედ მათგან ჰქონდა ნასწავლი.



გიორგი და დამიანე გორდელაძეები დედასთან ერთად ESEM 2017-ის გახსნის კონცერტზე თბილისში

ს.კ. – როდის გადაწყვეტეთ ანსამბლის ჩამოყალიბება?

გ.გ. – ანსამბლის, როგორც ასეთის, ჩამოყალიბების გადაწყვეტილება არასდროს მიგვიღია. სახლში მუდამ ვმღეროდით და ვმღეროთ დღესაც. როცა გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი სიმღერა აუდიტორიისათვის გაგვეცნო, გადავწყვეტეთ, გამოვსულიყავით სხვადასხვა კონცერტსა თუ ღონისძიებაზე. აქტიური საკონცერტო მოღვაწეობა დაახლოებით 3-4 წელია დავიწყეთ. მოგეხსენებათ, ოჯახური და სასცენო შესრულება განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენთვის ფრიად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 2015-16 წლების ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის გამარჯვებულები გავხდით ოჯახური ანსამბლების ნომინაციაში.

ს.კ. – გაგვაცანით თქვენი ოჯახის წევრები, ვინ არიან და რას საქმიანობენ?

გ.გ. – ოჯახის უფროსი გახლავთ დეკანოზი მათე (ვლადიმერ) გორდელაძე. ოჯახის დიასახლისია ფოფოღია ნათია ლაჭონია. უფროსი და – სოფიო, დაოჯახებულია და რუსთავეში ცხოვრობს. სოფიო პროფესიით პოლიტო-

ლოგია და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მუშაობს. ანაც დაოჯახებულია. ცხოვრობს მეუღლესთან და ვაჟიშობთან ერთად ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთში. ეფემია ცხოვრობს სოფელ ლიხაურში. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი. მარიამი სკოლის მოსწავლეა.

რაც შეგვხება ვაჟებს, სამი ჩვენგანი სტუდენტია: დამიანე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობს; საბა – მოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, მე გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახლავართ, უმცროსი ძმა ისაია კი სკოლის მოსწავლეა.

ს.კ. – მოგვიყვით თქვენს შესახებაც. როდის დაინტერესდით მუსიკით?

გ.გ. – ჩემთვის მუსიკასთან პირველი შეხება დედის „ნანა“ იყო. ბავშვობიდან მიყვარდა სიმღერა. მახსოვს, სახლში გვქონდა ვარლამ სიმონიშვილის, ვლადიმერ ბერძენიშვილის, არტემ ერქომიაშვილის, ანსამბლ „რუსთავის“ გრამფირფიტები, რომელთაც ხშირად ვუსმენდი. გარდა ამისა, ლიხაურში ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ცნობილი ლოტბარი და ჩონგურის კარგი მცოდნე, კარლო ურუშაძე. მასთან ხშირად დავდიოდით მე და ჩემი ძმა (დამიანე) და ბევრი სიმღერა სწორედ მისგან გვაქვს ნასწავლი. პატარაობაშივე ვმღეროდი ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის, ტრისტან სიხარულიძის ბავშვთა გუნდში. მინდა ორივე მათგანი დიდი მადლიერებით მოვიხსენიო.

ამჟამად ვსწავლობ გალობის უნივერსიტეტში, ვმუშაობ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დუშეთის რეგიონულ წარმომადგენლობასა და წმინდა გიორგის სახელობის სამრევლო სკოლაში. გარდა ამისა, სულ ცოტა ხანია, რაც მეგობრებთან ერთად ჩამოვყალიბე ანსამბლი „გორდა“, რომელსაც თავად ვხელმძღვანელობ.

ს.კ. – რა წყაროებიდან სწავლობთ სიმღერებს და რას მოიცავს თქვენი საოჯახო რეპერტუარი?

გ.გ. – ჩვენი რეპერტუარის ძირითადი ნაწილი გურული სიმღერებისაგან შედგება. ესაა, როგორც ტრიო სიმღერები, ისე საგუნდო ორპირული ნიმუშები. შიგადაშიგ ვმღერით დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების სიმღერებსაც. მათი დიდი ნაწილი ჩვენი პირველი მასწავლებლებისგან – კარლო ურუშაძის, ტრისტან და გური სიხარულიძეებისგან გვაქვს ნასწავლი. ასევე, ვუსმენთ და ვასრულებთ სიმღერებს საარქივო ჩანაწერებიდან. რეპერტუარში მრავლად გვაქვს საფანდურო და საჩონგურო მელოდიებიც, რომლებსაც ხალხური საკრავებით განსაკუთრებით დაინტერესებული დამიანე ასრულებს.



საოჯახო ანსამბლის ხელმძღვანელი
გიორგი გორდელაძე

ს.კ. – რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

გ.გ. – სულ მალე დავასრულებთ მუშაობას ჩვენს საოჯახო აუდიოალბომზე, რომელიც ჩაიწერა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ხმის ჩამწერ სტუდიაში და გამოიცემა საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ ხელშეწყობით. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ამისათვის დიდი მადლობა გადავუხადო ფონდის გენერალურ დირექტორსა და გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა გოთუას.

ს.კ. - წარმატებებს გისურვებთ!

ვილიანდის ფოლკლორული ფესტივალი – ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციის თანამედროვე კონცეფცია

ესტონეთში პირველად რომ ჩავედი, ადგილობრივი ფოლკლორის შესახებ დასმული ჩემი კითხვების პასუხად მუდამ ერთსა და იმავე რჩევას ვიღებდი – „ვილიანდის ფოლკლორულ ფესტივალს დაესწარი და ყველაზე კარგად გაიგებ, თუ რა ხდება დღეს ესტონურ ფოლკლორში“. წელს ჩემი ეს სურვილი ახდა და ესტონური გრილი ივლისის ბოლო ხუთი დღე ულამაზეს პატარა ქალაქში, ვილიანდში გავატარე. ყოველწლიური ფოლკლორული ფესტივალის 25 წლის იუბილის აღსანიშნავად განსაკუთრებულად ემზადებოდა ქალაქი, თუმცა, როგორც ადგილობრივმა თინეიჯერმა ანამ მითხრა, ის და მისი მეგობრები ამ 5 დღეს მთელი წლის მანძილზე ელიან, რადგან ამ დროს ტბებს შორის გაწოლილი ჩუმი ვილიანდი უეცრად ყველაზე ცოცხალ და ფერად ჯადოსნურ ქალაქად გადაიქცევა, რომელიც თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოსულ მუსიკოსებსა და მსმენელებს მასპინძლობს.

ვილიანდის ეს უეცარი გარდასახვა ჩემთვისაც ადვილად შესამჩნევი იყო, ყოველი ქუჩის კუთხეში მუსიკოსები მხვდებოდნენ და საფესტივალო პროგრამის დასრულების შემდეგაც კი არ წყდებოდა მუსიკის ხმა, იქამდე, სანამ თეთრ-ღამეებგამოვლილი, ხუთიოდე საათით გამქრალი მზე ისევ გამოანათებდა და ყველას კვლავ ვილიანდის ფოლკლორული ფესტივალის სივრცეში შეგვკრებდა.

ეს ყველაფერი კი ზუსტად 25 წლის წინ იმ დროისთვის „ვილიანდის კულტურული სკოლის“ ფოლკლორის მიმართულების პირველი თაობის სტუდენტებმა წამოიწყეს. 1991 წელს, როცა ესტონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ანდო კივიბერგი და მისი მეგობრები საბჭოთა სივრცის გარეთ მათი პირველი მოგზაურობიდან, შვედეთის ქალაქ ფალანდიდან დაბრუნდნენ და იქაური

ფოლკლორული ფესტივალიდან და ფოლკლორულ ბანაკ „შვედური ეთნო“-დან უზარმაზარი შთაბეჭდილებების გარდა მყარი გადაწყვეტილებაც ჩამოიტანეს – ესტონეთშიც უნდა შეექმნათ მსგავსი სივრცე ადგილობრივი ფოლკლორული ტრადიციების ასაღორძინებლად. მერე ვილიანდში ისტორიული ციხის მახლობლად ტრადიციული მუსიკის ცენტრი „აიტა“ დადგეს და ყოველწლიური ფესტივალის პირველი ლენტის გაჭრეს. 25 წლის მანძილზე ფესტივალმა ქალაქ ვილიანდს დიდი პოპულარობა მოუტანა და უამრავი ვიზიტორი მოიზიდა, ამდენად, გასაკვირი არცაა, რომ ვილიანდის ფოლკლორული ფესტივალის დირექტორი ანდო კივიბერგი მოსახლეობამ ვილიანდის მერადაც აირჩია.



ვილიანდის ფესტივალი 2017

მიუხედავად გადატვირთული საფესტივალო გრაფიკისა, ჩემი ქართული წარმომავლობით გახარებულმა, ვილიანდის ფოლკლორული ფესტივალის შექმნის ისტორია სიამოვნებით მომიყვა: „შვედეთის ფოლკლორულ ფესტივალზე ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ცოცხლობდა ტრადიციული მუსიკა ახალგაზრდებში, რომელთაც ეცვათ ჯინსები, გამოიყურებოდნენ თანამედროვედ, მაგრამ უყვარდათ მუსიკა. ისინი იკრიბებოდნენ და ცეკვავდნენ გაუთავებლად. ჩვენ გაცვებავს ვერ ვფარავდით: ისინი უკრავდნენ არა პუბლიკისა და აპლოდისმენტებისთვის, არამედ გასართობად, მხოლოდ საკუთარი თავისთვის, ემოციების ერთმანეთისთვის გასაზიარებლად. ეს იყო სრულიად განსხვავებული რამ და ჩვენ მივხვდით, რომ მსგავსი ღონისძიება ესტონეთშიც უნდა მოგვეწყო, მით უფრო, რომ ჩვენი ტრადიციები თითქმის გამქრალი იყო. ამიტომ, მიზნად დავისახეთ ახალგაზრდა თაობის ჩართვა ამ ტრადიციების შენარჩუნების საქმეში. ამ მიზნით, 1993 წელს დავაარსეთ ეს ფესტივალი და შევექმენით ეთნო-ბანაკი, რომელიც დაინტერესებულ ახალგაზრდებს ვთავაზობდით ფოლკლორული მელოდიების შესწავლას, დაკვრას და ცეკვას. მივალწიეთ იმას, სკოლის დამთავრების შემდეგ, ზოგიერთი მათგანი ვილიანდის კულტურის აკადემიაში წავიდა სასწავლებლად“.

წლევიანდელი საიუბილეო ფესტივალის თემა იყო „ძველი და ახალი“, რაც კარგად გამოხატავდა ფესტივალის მთავარ კონცეფციას – პირველადი ტრადიციული მუსიკისა და თანამედროვე ფოლკ-ფიუჟენის დაბალანსებულ თანხვედრას, რაც ქართულ ფესტივალ „არტ-გენტან“ ასოციაციას ბადებს, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში გაცილებით მცირე მასშტაბებთან გვაქვს საქმე. ესტონურ საფესტივალო ცხოვრებაში ჩართვისას ჩემი პირველი გაოცება სწორედ იმან გამოიწვია, თუ როგორ თავისუფლად უყურებენ ფოლკლორული ფესტივალის კონცეფციას, თავად ტერმინ ფოლკლორსაც გაცილებით ფართოდ განიხილავენ – ყველანაირი მუსიკა, რაც ადგილობრივ ფოლკლორულ ელემენტებს შეიცავს. თუმცა ამავედროულად, აქვთ ტერმინი „პარიმუსმუსიკა“, სიტყვასიტყვით, „ხალხის მუსიკა“, რაც „ისტორიულ ფოლკლორად, ინგლისური ტრადიციული მუსიკის ეკვივალენტურ ტერმინად“ (ანდო კივიბერგი) აქვთ მოაზრებული. ვილიანდის ფოლკლორული ფესტივალი პირველი და დღემდე ყველაზე მასშტაბური ფოლკლორული ფესტივალია ესტონეთში, რომელმაც, ამ სფეროში გარკვეული ნორმები და ძირითადი მიმართულებები დასახა, მათ შორის, საფესტივალო პროგრამასთან დაკავშირებითაც: „ჩვენ გვინდოდა, იმ ახალგაზრდების ყურადღება მიგვეპყრო, რომლებიც თანამედროვე მუსიკის მიმდინარეობებით იყვნენ გატაცებული. ვცდილობდით, გვესწავლებინა მათთვის გასაგებ ენა-

ბული რამ და ჩვენ მივხვდით, რომ მსგავსი ღონისძიება ესტონეთშიც უნდა მოგვეწყო, მით უფრო, რომ ჩვენი ტრადიციები თითქმის გამქრალი იყო. ამიტომ, მიზნად დავისახეთ ახალგაზრდა თაობის ჩართვა ამ ტრადიციების შენარჩუნების საქმეში. ამ მიზნით, 1993 წელს დავაარსეთ ეს ფესტივალი და შევექმენით ეთნო-ბანაკი, რომელიც დაინტერესებულ ახალგაზრდებს ვთავაზობდით ფოლკლორული მელოდიების შესწავლას, დაკვრას და ცეკვას. მივალწიეთ იმას, სკოლის დამთავრების შემდეგ, ზოგიერთი მათგანი ვილიანდის კულტურის აკადემიაში წავიდა სასწავლებლად“.

წლევიანდელი საიუბილეო ფესტივალის თემა იყო „ძველი და ახალი“, რაც კარგად გამოხატავდა ფესტივალის მთავარ კონცეფციას – პირველადი ტრადიციული მუსიკისა და თანამედროვე ფოლკ-ფიუჟენის დაბალანსებულ თანხვედრას, რაც ქართულ ფესტივალ „არტ-გენტან“ ასოციაციას ბადებს, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში გაცილებით მცირე მასშტაბებთან გვაქვს საქმე. ესტონურ საფესტივალო ცხოვრებაში ჩართვისას ჩემი პირველი გაოცება სწორედ იმან გამოიწვია, თუ როგორ თავისუფლად უყურებენ ფოლკლორული ფესტივალის კონცეფციას, თავად ტერმინ ფოლკლორსაც გაცილებით ფართოდ განიხილავენ – ყველანაირი მუსიკა, რაც ადგილობრივ ფოლკლორულ ელემენტებს შეიცავს. თუმცა ამავედროულად, აქვთ ტერმინი „პარიმუსმუსიკა“, სიტყვასიტყვით, „ხალხის მუსიკა“, რაც „ისტორიულ ფოლკლორად, ინგლისური ტრადიციული მუსიკის ეკვივალენტურ ტერმინად“ (ანდო კივიბერგი) აქვთ მოაზრებული. ვილიანდის ფოლკლორული ფესტივალი პირველი და დღემდე ყველაზე მასშტაბური ფოლკლორული ფესტივალია ესტონეთში, რომელმაც, ამ სფეროში გარკვეული ნორმები და ძირითადი მიმართულებები დასახა, მათ შორის, საფესტივალო პროგრამასთან დაკავშირებითაც: „ჩვენ გვინდოდა, იმ ახალგაზრდების ყურადღება მიგვეპყრო, რომლებიც თანამედროვე მუსიკის მიმდინარეობებით იყვნენ გატაცებული. ვცდილობდით, გვესწავლებინა მათთვის გასაგებ ენა-

ზე, ამიტომ ზოგჯერ პოპის, როკისა და ავ-
თენტური მუსიკის შერწყმაც კი გვიწევდა.
ღრმად ჩაძიების შედეგად, ახალგაზრდები
თავად რწმუნდებოდნენ, რომ ფოლკლორუ-
ლი მუსიკა თავისთავადია და ელექტრო-
ნული ინსტრუმენტების გარეშე შეიძლება
იარსებოს, ჟღერდეს ტრადიციული საკრავე-
ბის თანხლებით“ (ანდო კვიციანი).

მართლაც, წლებიდან ფესტივალზე
მოვუსმინე 25 წლის განმავლობაში ვილიან-
დის ფოლკლორული ფესტივალის მონაწი-
ლე ესტონური მუსიკალური სცენის სხვა-
დასხვა თაობის ვარსკვლავებს, ყველას, ვინც
საკუთარ შემოქმედებაში ფოლკლორის ინ-
კორპორაციით ორიგინალური ნიშა მოიპოვა
და უკვე მსოფლიოს პრესტიჟული ფესტი-
ვალების მონაწილის სახელიც დაიმკვიდრა.
მათი უმრავლესობა ვილიანდის ფესტივა-
ლების, ეთნო-ბანაკისა თუ ვილიანდის კუ-
ლტურული აკადემიის ბაზაზე ჩამოყალიბდა
მუსიკოსად. ფესტივალის ერთ-ერთ მიზნად
ანდო კვიციანი სწორედ ახალგაზრდა მუ-
სიკოსებისათვის მშობლიურ მუსიკალურ ენ-
ასთან ზიარებას მიიჩნევს.

ამასთანავე, ფესტივალის წლებიდან
სტუმრებს შორის იყვნენ მუსიკოსები ევრო-
პის სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე, ჩილედან
და იამაიკიდან, რომლებიც საფესტივალო
პროგრამის შემდეგ მთელი ღამის განმავლო-
ბაში ერთად ასრულებდნენ იმპროვიზაციებს
მონაწილეებისთვის გამოყოფილ ბარში. მსგ-
ავს მრავალფეროვან მულტიკულტურულ
მუსიკალურ გარემოში ყოფნის, მსოფლიოს
ტრადიციული მუსიკის ურთიერთგაზიარე-
ბისა და შერწყმისა მომსწრე პირველად გავ-
ხდი, რამაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მო-
ახდინა ჩემზე, როგორც ეთნომუსიკოლოგზე,
მუსიკის მსმენელზე თუ უბრალოდ, ქარ-
თველ ტურისტზე.

არანაკლებ ამაღლებელი იყო,
როდესაც შევიტყე, რომ აუდიტორიის
ინტერნეტ-გამოკითხვების მიხედვით, ფეს-
ტივალის 25 წლის მანძილზე მოწვეული
უცხოელი მუსიკოსებიდან სამი ფავორიტი
გამოვლინდა, რომელთა შორისაც ქართული
ანსამბლი „თბილისი“ აღმოჩნდა. ჯგუფი
წლებიდან ფესტივალზე საპატიო სტუმრის

სტატუსით იყო მიწვეული, მიუხედავად
გადაუღებელი წვიმისა, ღია ცის ქვეშ გამარ-
თულმა მათმა კონცერტმა დიდი ანშლაგით
ჩაიარა და მეც კიდევ ერთხელ გავხდი უც-
ხოელი მსმენელის ქართული ტრადიციული
მრავალხმიანობით აღფრთოვანების მომსწრე.



ანსამბლი „თბილისი“ ვილიანდის ფესტივალზე

გარდა განსხვავებული მუსიკალური
კონცეფციისა, გამოაცა ვილიანდის ფოლკლო-
რული ფესტივალის მასშტაბურობამ და
პროგრამის მხატვრულმა მრავალფეროვნებამ.
რვა სცენაზე გადანაწილებულ ძირითად სა-
ფესტივალო პროგრამასთან ერთად, ყოველ-
დღიურად იმართებოდა ტრადიციული მუს-
იკის, ცეკვის, ინსტრუმენტების დამზადების,
ხელსაქმისა თუ კულინარიის მასტერკლას-
ები.

დამატებითი პროგრამის ფარგლებში
კი მთელ ქალაქში მიმოფენილ პატარა სცე-
ნებზე ეწყობოდა ადგილობრივი ფოლკლო-
რული კოლექტივებისა თუ შემსრულებლების
კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები,
კინოჩვენებები, გამოფენები, თამაშობები. ამ-
დენად, მრავალფეროვანი პროგრამა ნებისმი-
ერი ინტერესისა თუ გემოვნების მქონე
სტუმრისათვის უზრუნველყოფდა სასურვე-
ლ გარემოს.

ვილიანდის ფოლკლორულ ფესტივა-
ლზე დასწრებამ კარგად დამანახა ის პო-
ტენციალი, რაც დღეს ტრადიციულ მუსიკას
გააჩნია, იმისათვის, რომ სამუხეუმო ექსპო-
ნატის მდგომარეობიდან კვლავ საზოგადო-
ების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად
იქცეს, თუნდაც წარსულისაგან განსხვავე-
ბული, მაგრამ თანამედროვეობასთან ადაპ-

ტირებული ფორმით – ფესტივალმა არსებობის 25 წლის მანძილზე უამრავ ესტონელს უმასპინძლა და პატარა ქალაქ ვილიანდმაც სრულიად ახალი სიცოცხლე შეიძინა. ერთ დროს მშობლებთან ერთად მოსიარულე პატარები დღეს უკვე საკუთარ ოჯახებთან ერთად ესწრებიან ფესტივალს, როგორც ამ მუსიკის გამოცდილი მსმენელები და ხშირ შემთხვევაში, უკვე შემსრულებლებიც. ამავე დროს, ვილიანდის კულტურის აკადემია ესტონეთის სხვადასხვა მხარიდან უფრო და უფრო მეტ სტუდენტს იკრებს და შედეგად, ესტონურ მუსიკალურ სცენას ახალი ვარსკვლავებით „ამარაგებს“.

თეონა ლომსაძე
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
დოქტორანტი

წინამდებარე წერილი 1882 წელსაა გამოქვეყნებული და ქართული საეკლესიო გალობის გავრცელებას ეხება, რაც დღესაც აქტუალურია საქართველოში.

„გალობის გავრცელება“



„ანჩხატელი“ - პეტრე უმიკაშვილი

ბევრი თქმულა ქართულს გალობაზე და კიდევაც საჭიროა ითქვას, რადგანაც სანამ ერთი საქმე თავს მოვიდოდეს, ყოველთვის წინად ლაპარაკი და მოსაზრება უნდება. ზოგს იქნება კითხვა კიდევ მოსწყენია, მაგრამ ვისაც ძვირფასად მიაჩნია ხალხში საკუთარი გალობის დარჩენა, დაჩუმება და ხმის ამოუღებლობა დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს. და მერე, ეს საქმე ისეთი საქმე არ არის, რომ მართლა იმისი ფეხზე დაყენება ძალიან ძნელი იყოს. თუ ამაშიაც არ დამეთანხმება მკითხველი და ძნელად ჩასთვლის, მაინც ეს არ უნდა გვიშლიდეს ბეჯითად ვდევედეთ ჩვენს წადილს, თუკი საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია იმისი არსებაში მოყვანა...

რაში მდგომარეობს ეხლანდელი ჩვენი სურვილი ქართული საეკლესიო გალობისა და საერო სიმღერის შესახებ? ვგონებ ეს აზრი კარგად უნდა გამოვარკვიოთ. მარტო იმის თქმა, რომ ქართული გალობა თუ სიმღერა ვიცოდეთ, არ კმარა. ერთი-ორი კაცი რომ საყ-

დარში იდგეს და გალობდეს, ეს გალობის აღდგენა არ არის, ერთმა კაცმა რომ ყველა მოტივები და ხმები იცოდეს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ნოტები რომ ძალიან კარგად ნაწერი იყოს, ეს გალობის აღდგენა არ იქნება; ამ ნოტის დამწერლებს და ამ თითო მგალობლებს რომ ჯამაგირები და პენსიები ეძლიოსთ, ეს გალობის აღდგენა არ იქნება.

აღდგენა იმასა ჰქვიან, როდესაც ხალხში მოიფინება, გავრცელდება, ბევრი იქნებიან მცოდნენი; აღდგენა გალობისა ამასა ჰქვიან, როდესაც კვირა-უქმობით ეკლესიაში თითო ორ მოღიღინე დიაკვანს კი არ ვნახავთ, არამედ მოწყობილს მაინც ათიოდე კაცისაგან შედგენილს გუნდსა; როდესაც ყოველ ეპისკოპოსს ეყოლება სამაგალითო გუნდი, როდესაც პირველ-დაწყებით სასწავლებლებში ყმაწვილებს ეცოდინებათ უმთავრესი მოტივები გალობისა და სიმღერისა; როდესაც სასულიერო სასწავლებელთა მოწაფენი იქნებიან შესწავლულნი და საგალობლად მოეფინებიან ქალაქების ეკლესიებში კვირა-უქმობით; როდესაც სოფლის სკოლის შაგირდები ეკლესიებში მგალობელთა გუნდებს შეადგენენ; როდესაც ყველა საერო და სასულიერო სასწავლებლებში ისწავლიან, როდესაც ყოველ სამეჯლისო სადილზე და ლხინში ქართული სიმღერების და გალობის შეწყობილს ხმებს გავიგონებთ, შინ და გარეთ, ეკლესიაში და თეატრში, ქუჩაში და გემზე, მაშინ იქნება აღდგენა ჩვენის გალობა-სიმღერისა. წარმატებას და სისრულეში შესვლას მაშინ ექმნება საძირკველი ჩადგმული.

ერთი სიტყვით, ამჟამად გარკვევითი უსაჭიროესი რამ გალობის საქმეში ის არის, რომ გავრცელდეს გალობა და სიმღერა...

ყოველსავე საქმეს დასაწყისში ბეჯითობა უნდა, თავის გამოდება, უანგარო შრომა. თუ გვინდა, რომ საქმე არსებაში მოვიდეს, ერთმანერთის მიწვევას და პატიჟობას კი არ უნდა ვუცდიდეთ, თვითონ უნდა მოვიწვიოთ, თავი დავუდვათ და შრომა ნაყოფს გამოიღებს. ქალაქში მგალობლებს არამცთუ თავისით რამე გაუკეთებიათ, არამედ კომიტეტმა ფულიც ხარჯა, ჯამაგირები აძლია და საქმე ისე ვერ დააყენა, რომ რომელსამე ეკლესიაში გუნდი შეედგინა. (ჩვენ ვფიქრობთ, რომ გალობის

მოყვარეთაგან უსასყიდლოდ გუნდის შედგენა შეიძლება...).

ასე გახლავთ საქმე აქა ქალაქში, და ნულარ იკითხავთ, რა იქნება ქართლ-კახეთის პატარა ქალაქებში და სოფლებში. აქამდის იმედი გვქონდა გურია-იმერეთისა და თურმე ნუ იტყვიოთ, იქაც თითო დიაკვნის ღუდღუდზე დარჩენილია მთელი გუნდის გალობა.

როგორ უნდა აღვადგინოთ გასაქრობად გამზადებული ჩვენი გალობა? მაგალითად მოვიტანოთ კათოლიკეების და სომხების ეკლესიები, რომელშიაც უსასყიდლოდ გალობენ რომელსამე სკოლის ანუ საერო და ანუ სასულიეროს მოწაფენი. ამგვარადვე შეეძლოთ სოფლებში და ქალაქებში ქართველ მღვდლებს რამდენიმე ყმაწვილები ეშოვნათ მგალობელთა გუნდების შესადგენათ; რაკი დაიწყებოდა საქმე, თითო-ოროლა კაცი რომ დაჰკლებოდა, შემდეგში ახალთა შეყვანა შეიძლებოდა. ეს იმერეთ-გურია-სამეგრელოში უფრო ადვილი იქნება, რადგანაც უფრო ხალისიანი ხალხია. არც ქართლ-კახეთში გაჭირდებოდა. საქმე მხოლოდ მოთავეებზედ არის დამოკიდებული: მღვდლებზე და სკოლის მასწავლებლებზე.

არ ვგონებთ ვინმემ ამ აზრთიდგან ის გამოიყვანოს, რომ ვითომც გვინდოდეს სკოლის მოწაფეები დიაკვნებათ შევრეკოთ ეკლესიებში. ეს მეტისმეტი ლაპარაკი იქნებოდა და ამაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გალობას და სიმღერას პედაგოგიური დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვითოეულ კაცის აღზრდისათვის, აგრეთვე მრთელის ხალხის აღზრდაში...

ერის კაცებსაც კი ცალკედ მცირე შემწეობის აღმოჩენა არ შეუძლიანთ. ვინც გალობის და სიმღერის მოყვარეა, თვითონ ეცდებოდა, და ვინც მცოდინარე არ არის, მაგრამ მოყვარულია გალობისა და სიმღერისა, მგალობელ-მომღერალს წაახალისებდა, რაშიმე დაეხმარებოდა, დაავალებდა, დაიახლოვებდა და საქმეს წარმართავდა.

როგორ, რა გვარათა? აი, როგორ: ერთს მგალობელს ანუ მომღერალს, მეორეს ვუშოვნიდი ჩემს ნაცნობ ანუ უცნობებში, მოვძებნიდი გალობის და სიმღერის მოყვარეს, ორს ერთად შევყრიდი მოცლილს დროსა და თითო

რასმე ვაგალობებდი, ვამღერებდი; ერთს თვეს ერთ-ორ საგალობელს ან სასიმღეროს მოვაწყობინებდი, მეორეს თვეს – მეორეს, მესამეს – მესამეს. ორ კაცს მერე მესამე ამხანაგს ვუშოვიდი, მასუკან მეოთხეს და ნელ-ნელა რამდენსამე თვეს ვივარჯიშებდით. ამგვარად შევადგენდი ექვსიდან ათამდის გუნდსა და ეკკლესიაშიც დავაწყებინებდი გალობას, შინაურობაშიც და ლხინშიც. გუნდის თანდათან გადიდება ისე შეიძლებოდა, რომ მთელ სოფელს სცოდნოდა და როგორც ზოგიერთ დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნების ეკკლესიებშია, მთელი მრევლი საყდარში დასწრების დროს იგალობებდა ორ გუნდათ დაყოფილი...

რაც აქ ერის კაცზე ვთქვით, მღვდლებსაც შეუძლიათ როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთ-გურია-სამეგრელო-აჭარაში.

ამასთანავე, ამისთანა მღვდლებს და ერის კაცებს საჭიროა სოფლის და მოქალაქეების მასწავლებლებმა მხარი მისცენ, ყმაწვილებში გალობის მოყვარენი მათს შედგენილს გუნდში შეიყვანონ.

ამგვარად შედგება გუნდები ყმაწვილებისა და დიდებისაგან, ამგვარად გადავა გალობა და სიმღერა ხნიანებისაგან პატარებში და თავად-აზნაურ-სამღვდელოთაგან გლეხებში, ამგვარად გავრცელდება გალობა და სიმღერა, თანდათან წარმატებაში შევა, გამშვენიერდება და გამდიდრდება.

დიაღ, უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ ერთმანეთს გალობა სიმღერა, მგალობელთა და მომღერალთა გუნდების შედგენით. ვისაც გული შეტკივა, ითავოს და ხელი მოსჭიდოს.

ანჩხატელი [პეტრე უმიკაშვილი]
გაზეთი *დროება*, 1882, 17 ივლისი,
№148, გვ. 1-2

წერილი აღებულია წიგნიდან:
*ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების
პერიოდიკაში.*

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა. თბილისი, 2015

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

„ჭვენიერობის“ დღესასწაული და მასთან დაკავშირებული ტრადიციული მუსიკა

„ჭვე“ მეგრულად მუხის ნორჩი ნერგია. „ჭვენიერს“ ეძახიან მთას, რომელზეც მარტვილის ტაძარი დგას. ჭვენიერობის დღესასწაული სამეგრელოში აღდგომიდან მერვე დღეს, ანუ კვირაცხოვლობის ორშაბათს ტარდებოდა. არსებული გადმოცემები და ეთნოგრაფიული მასალა მის დაარსებას სოფელ ბანძასა და ქრისტეს მოწაფის – წმ. ანდრია მოციქულის სახელს უკავშირებს. ინფორმატორთა ცნობით, ჭვენიერობა XX საუკუნის 20-იან წლებამდე აღინიშნებოდა და საბოლოოდ ის კომუნისტებს აუკრძალავთ.

დღევანდელი მარტვილის ტაძრის ადგილზე მდგარა დიდი მუხა – დიდი ჭყონი (ჭყონდიდი), რომელზეც თუჯისაგან (ზოგიერთი ცნობით – სპილენძისაგან) ჩამოსხმული კაცის ფიგურა იყო მიბმული. კერძს კაპუნია/როკაპუნია, იგივე დიდგიმირი/დოდგიმირი ერქვა. ზოგიერთის წარმოდგენით, ეს იყო არწივი, რომელიც ჭყონდიდში ბუდობდა. კერპის ქურუმებს ჭყონდარებს ეძახდნენ. კერპის დღესასწაულზე თუთაშობას (მთვარის დღეს, ორშაბათს) კაპუნიასთვის შესაწირად დედას ზუსტად ერთი წლის, ანუ წინა წელს გაჩენილი პირმშო უნდა შეეწირა. ჭყონდარები მომავალი დღესასწაულისათვის კენჭისყრით ირჩევდნენ სამსხვერპლო ბავშვს.

შაბათს ღვთის რჩეული ბავშვის მშობლები მართავდნენ საოჯახო დღესასწაულს, ხოლო კვირას – ბუაშხას (მზის დღეს) ბავშვი ეტლით უნდა მიეყვანათ მუხასთან, სადაც მსხვერპლშეწირვის რიტუალი ტარდებოდა.

გადმოცემის მიხედვით, მარტვილში ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი ჩადიან. ანდრია ანადგურებს კერძს, ჭრის მუხას და მის ნაცვლად ჯვარს აღმართავს. მას მორწმუნეთა თვალწინ დიდი მუხისათვის ნაჯახი შემოუკრავს და როცა იგი უვნებელი დარჩენილა, ხალხს უღიარებია ქრისტეს ძალა. ანდრიას მახარებელი გაუგზავ-

ვნია იმ ამბის სათქმელად, რომ დედებს აღარ მოუხდებოდათ თავიანთი შვილების შეწირვა. გადმოცემა გვიამბობს, რომ სამეგრელოს მოსახლეობამ სწორედ წმ. ანდრიას ქადაგების შემდგომ აღიარა ქრისტიანობა.



ყოფილი ჭყონდიდი, ამჟამად - მარტვილის მონასტერი

ზოგიერთ წარმართს სურდა მისი სამოციქულო მოღვაწეობის შეფერხება და ღამე მძინარე მოციქულისათვის კვერთხი და ფეხსაცმელი წაურთმევია. წმინდანი ფეხშიშველი წასულა მარტვილში. როცა მოციქულს დიდი ჭყონი მოუჭრია, ახლადმოქცეულ ბანძელებს უთქვამთ, მართალია, მუხა მოჭერი, მაგრამ ფერდობზე მრავალი ნორჩი მუხა ხარობს. ერთ-ერთს გაახარებენ და ახლა იმას დაუწყებენ თაყვანისცემას, ამიტომ ყველა მუხა მოჭერიო. ანდრიას უპასუხია: რომ მოვჭრათ, ისევ ამოიყრის, ამიტომ ყველა ამოვთხაროთო. ამ ამბის შემდეგ მარტვილიდან დაბრუნებულ ბანძელებს მუხის მოჭრის (თუ მოთხრის) ამბავი დღესასწაულად უქცევიათ და ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების ნიშნად მისთვის ჭვეენია/ჭვენიერობა უწოდებიათ. ამ დღესასწაულის XIX საუკუნეში არსებობაზე თავადის – მექი ფაღავას მიერ ილია ჭავჭავაძის საგანგებოდ მიწვევის ფაქტიც მიუთითებს. სტუმრისათვის უკითხავთ, როგორ მოგეწონათ ჩვენი რიტუალიო და ილიას მოსწრებულად უთქვამს: ამას „ჭვენიერობა“ კი არა, „მშვენიერობა“ უნდა ერქვასო. ჭვენიერობის დღესასწაულის შესახებ ცნობები გამოქვეყნებულია XIX საუკუნის პერიოდიკაში. მის შესახებ წერდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი მაკალათია, კორნელი კეკელიძე და სხვები.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ჭვენიერობის დღესასწაულზე მუდმივად ჟღერდა ტრადიციული მუსიკა – ყველგან ისმოდა სიმღერა, გალობა, საკრავების ხმა. სხვადასხვა ჯგუფებად დაყოფილი მოზეიმენი კითხულობდნენ ლექსებს, აბამდნენ ფერხულებს, ცეკვავდნენ. მუსიკა ახლდა სპორტულ სანახაობებს.

უფრო კონკრეტულად:

- სოლარულ კულტთან დაკავშირებული უძველესი საფერხულო – მზე შინა და მზე გარეთა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ძეობის რიტუალზე, მშობიარე ქალთან, ბავშვთა ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ და დასაძინებელი ფუნქციონაც არის დაფიქსირებული. ჩვენი აზრით, ჭვენიერობისათვის ეს ნიმუში გადარჩენილი ბავშვის ხელმეორედ დაბადების გაგებით, ან ძეობის რიტუალთან ასოციაციური კავშირის გამო შეიძლებოდა მიესადაგებინათ. საფერხულო მზე შინა და მზე გარეთას მაშინ იტყოდნენ, როცა მოთხრილ ხეს წმ. გიორგის ეკლესიას კედელთან ფესვებით ზემოთ მიაყუდებდნენ. XX საუკუნის 80-იან წლებში მოპოვებული ერთი ცნობა მზეშინას ფერხულის ჩაბმას მეტად ორიგინალური ფორმით წარმოგვიდგენს: მამაკაცები ნეკა თითების გადაჭდობით ქმნიან წრეს, რაც, ჩვენი აზრით, შემოსაზღვრული სივრცის მაქსიმალური დაცვისათვის კეთდებოდა.

- ეკლესიის აღსავლის კართან დადებული წითელი ბურთის აღების შემდეგ, მღვდელი გარს უვლის ეკლესიას. მას უკან ხალხი მიჰყვება კირიელისონის უწყვეტი გალობით. „კირიე ელესონის“ ჰანგის ბიზანტიურ-ქართული პარალელების საკითხი რიტუალის ელინურ სამყაროსთან მიმართება საგანგებო განხილვას საჭიროებს.

- მსვლელობისას სათქმელი „კირიალესა“, რომელსაც სამეგრელოში ახალი წლის (იშვიათად შობის) მისალოცად კარდაკარ ჩამოვლისას დღესაც ასრულებენ. აღნიშნული მსვლელობა XVII საუკუნის იტალიელ მისიონერს, თეათინელ ბერს – არქანჯელო ლამბერტის დეტალურად აქვს აღწერილი. ცნობილია, რომ მომღერლებს ვაშლით, ბროწეულითა და ყვავილებით შემკული ჩიჩილაკიც (სანახაღწლო ხე) დაჰქონდათ ხოლმე. სამობაო

ალილოობისა და საადდგომო ჭონაზე სიარულის მსგავსად, კირიალესას მთქმელები სანოვაგესა და ფულს აგროვებდნენ. შესრულების საფერხულო წესი, უდავოდ, რიტუალის წარმართული ხანიდან მომდინარეობაზე მიგვანიშნებს. შრომის სიმღერებთან გამოვლენილი ინტონაციური ერთიანობაც ნიმუშების სიმძელისა და ნაყოფიერების კულტებთან კავშირის დამადასტურებელია.

• შემახილებიანი „ეისადო კირიე“, რომელსაც სასაფლაოზე ხეზე ასული მოხუცი ტოტების რყევისას მღეროდა. იმავე სახელწოდების მრავალხმიან ნიმუშს ხის ამოძირკვისას, ორმოს თხრისას ფერხულითაც ასრულებდნენ. ინტონაციითა და სტრუქტურით ის შრომის ჟანრის სიმღერებს – ყანურ ნადურებს და სიმძიმის/საწნახლის აწევა-გატანისას სათქმელ ელესას გავს.

• ჭვენიერობაზე საკრავებიც ჟღერდა: აეროფონი ბუკი (გრელი და მოკლე) და იდიოფონი ზარი ერთნაირი სემანტიკით – სასიგნალოდ გამოიყენებოდა. ზარისა და ბუკის ხმა ფონად გასდევდა სპორტულ თამაშობებსაც.

ჭვენიერობის დღესასწაულის კომპლექსური, შედარებითი და სისტემური კვლევა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ წარმართული წეს-ჩვეულებების ქრისტიანულით ჩანაცვლების რეალური პროცესი, ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე თვალი გავადევნოთ საერო და საეკლესიო ტრადიციების თანაარსებობას, ვიკვლიოთ ერთიან მუსიკალურ კანონზომიერებებზე აგებული მრავალხმიანი საგალობლისა და ხალხური სიმღერის ურთიერთმიმართების საკითხები, აგრეთვე, ზოგიერთი სასიმღერო ნიმუშის გენეზისი და ევოლუციის გზა.

ნინო ღამბაშიძე

ეთნოლოგი

ნინო მახარაძე-კალანდაძე

ეთნომუსიკოლოგი

ორმაგი ჩასაბერი საკრავები და ვოკალური პოლიფონია



ქეთევან ნიკოლაძე-ბურკე

საკრავიერი მრავალხმიანობის განვითარება არსებითად დაკავშირებულია ვოკალურ პოლიფონიასთან და წარმოუდგენელია მისი იზოლირებულად განხილვა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ჩასაბერი საკრავები, რომლებიც თავისი ბგერათწარმოქმნის თავისებურებებით ახლოს დგას ვოკალურ შემსრულებლობასთან და უშუალო კავშირშია სუნთქვით პროცესთან.

ჩასაბერი საკრავი ბუნებით ერთხმიანია. მრავალხმიანი, ანუ მრავალღეროვანი ჩასაბერი საკრავი სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მისი შესწავლა მრავალხმიან ვოკალურ ტრადიციებთან მიმართებაში არის აუცილებელი.

საქართველოში მრავალღეროვანი ჩასაბერ საკრავებს მიეკუთვნება: ორმაგი ჩასაბერები – გუდასტვირი, ჭიბონი, ორმაგი სტვირი (გულის გარეშე) და მრავალღეროვანი ლარჭემ-სოინარი. ამჯერად ყურადღებას მხოლოდ ორმაგ ჩასაბერ საკრავებზე შევაჩერებ.

გუდასტვირის, ჭიბონისა და ორმაგი სტვირის გავრცელების არეალი საქართველოში დღეისათვის ძალზე შეზღუდულია. მათ შორის ორმაგ სტვირზე ამჟამად აღარავინ უკრავს. შემორჩენილი გვაქვს ე.წ. „ხაიშის განძი“ სვანეთიდან (ჩვ.წ.ად. II), რომელიც 1948 წელს აღმოაჩინა ალექსანდრე ჯავახიშვილმა. ეს არის პატარა ოქროს საკიდი, რომელიც ჩარდახიანი კოშკის მინიატურულ გამოსახულებას წარმოადგენს. ჩარდახის ქვეშ წყვილ-

ლულიან სალამურსა და ჭიანურზე დამკვერელის ფიგურებია გამოკვეთილი.

ივანე ჯავახიშვილი, დაბადების ერთ-ერთი თარგმანის მიხედვით, ასკვნის, რომ სტვირი ბერძნული ჩასაბერი საკრავის – ავლოსის ანალოგია. თუ გავიხსენებთ კურტ ზაქსის აზრს, რომ ავლოსი თითქმის ყოველთვის ორმაგ ჰობოს ან კლარნეტს გულისხმობდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული სტვირიც, როგორც წესი, წყვილად ფუნქციონირებდა.

ორმაგი ჩასაბერების ტექნიკურად გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენს გუდასტვირი და ჭიბონი, რომლებიც დღეს მხოლოდ რაჭაში (გუდასტვირი) და აჭარაში (ჭიბონი) გვხვდება. თუმცა, ცნობილია, რომ საქართველოში მისი 6 სახეობა იყო გავრცელებული: ქართლური გუდასტვირი, რაჭული ფშტვირი ანუ სტვირი, ლაზური და აჭარული ჭიბონი და ჯავახური თულუმი. აღსანიშნავია, რომ რაჭულ სტვირზე შესრულებული დასაკრავის ბანი ბურდონულია, რაც არ არის უცხო რაჭული ვოკალური მრავალხმიანობისთვის. ასევე ახლოსაა ვოკალური მრავალხმიანობის ნიმუშებთან ქართლური დასაკრავი გუდასტვირზე „თინანო“. ორმაგი ჩასაბერების სიახლოვეზე ვოკალური მრავალხმიანობის ტრადიციებთან მეტყველებს აჭარულ ჭიბონზე შესრულებული დასაკრავებიც.

ძალზე საინტერესოა, რომ ვოკალურ მუზიციერებასა და ჩასაბერ საკრავებს შორის კავშირზე ყურადღება გამახვილებული იყო ხუთი ათასი წლის წინათ – ძველ ეგვიპტეში სიმღერა და ფლეიტაზე დაკვრა ერთი და იმავე იეროგლიფით აღინიშნებოდა.

ლიტველი მუსიკისმცოდნის, ზ. სლავიუნასის წიგნში „სუტარტინესი“ მოტანილია ცნობა იმის შესახებ, რომ ლიტვაში ვოკალურ *სუტარტინესთან* ერთად არსებობს საკრავიერი *სუტარტინესის* ორი ტიპი: საკრავზე შესრულებული ვოკალური *სუტარტინესი* და წმინდა საკრავიერი *სუტარტინესი*.

ყურადღებას შევაჩერებ პირველ ტიპზე, რომელიც ძირითადად სრულდება ჩასაბერ საკრავებზე – *სკუდუჩსა* და *დაუდიტესზე*, იშვიათად კი – სიმებიან *კანკლესზე*. საინტერესოა, რომ ჩასაბერ საკრავებზე შესრულებული *სუტარტინესი* ვოკალურისაგან მხო-

ლოდ ტემბრით განირჩევა, ხოლო *კანკლესზე* შესრულებული ძალიან განსხვავდება ვოკალურისაგან, მასში იცვლება მელოდიაც და რიტმიც.

შინაგან კავშირზე, რომელიც არსებობს ჩასაბერ საკრავებსა და ვოკალურ მუსიციერებას შორის, საინტერესოა რუსი მუსიკისმცოდნის, საკრავების მკვლევრის, კ. ვერტკოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ორმაგი სტვირის შექმნა გამოწვეულია ხალხურ სიმღერაში მრავალხმიანობის გაჩენით.

ესტონელი მუსიკისმცოდნე ი. ტინური-სტი ხაზგასმით აღნიშნავს ურთიერთკავშირს ვოკალურ მრავალხმიანობასა და ორმაგ ფლეიტას შორის, ძალზე საინტერესო ეთნიკური ჯგუფის, *სეტოს* მაგალითზე. მისი აზრით, ორხმიანი საკრავის – წყვილლულიანი ფლეიტის გავრცელებისათვის საჭირო იყო მნიშვნელოვანი პირობა – მრავალხმიანობა, კონკრეტულად ორ და სამხმიანი სიმღერა და ის *სეტოს* ხალხურ მუსიკაში არსებობდა.

როგორც ვხედავთ, კავშირი ვოკალურ მრავალხმიანობასა და ორმაგ ჩასაბერ საკრავებს შორის განხილულია ცალკეული ლოკალური ტრადიციების მაგალითზე. მიმაჩნია, რომ ეს პარალელები, შესაძლოა, განხილულ იქნას უფრო ვრცლად, საერთოდ ვოკალური და საკრავიერი მრავალხმიანობის ტრადიციათა დამთხვევის ფაქტის კონსტატაციითაც.

ორმაგი ჩასაბერი საკრავების შედარებით-ტიპოლოგიურმა შესწავლამ ერთ საყურადღებო დასკვნამდე მიმიყვანა – მათი გავრცელების არეალი უშუალოდ ემთხვევა ვოკალურ მრავალხმიანობის კერებს: ინგლისი, ირლანდია, შოტლანდია, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები, საქართველო, ეგვიპტე, დასავლეთ და სამხრეთ სლავები, უკრაინა, ბელორუსია, მორდვა და სხვა. აქ, შესაძლოა, დაიბადოს კანონზომიერი კითხვა: რითი უნდა აიხსნას ორმაგი ჩასაბერი საკრავების არსებობა იმ რეგიონებში, სადაც არ არის ვოკალური მრავალხმიანობა?

ეს ეხება უზბეკეთს, თურქმენეთს, დაღესტანს, აზერბაიჯანს, სომხეთს და სხვა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონებში გავრცელებულ ორმაგ ჩასაბერ საკრავებს აქვს უნისონური ჟღერადობა, გაორმაგება კი ემსა-

ხურება ტემბრული ელფერის გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, ორმაგი ჩასაბერი საკრავების არსებობისას გასათვალისწინებელია თვით საკრავის ტიპი, ე.ი. მიღების სიგრძე, თვლების რაოდენობა და მათი განლაგება. გამონაკლისს წარმოადგენს კარპატების რეგიონის ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი, ეგვიპტე და სამხრეთ საქართველო – ჯავახეთი, სადაც უნისონური მღერის ტრადიციის არსებობის პირობებში გვხვდება ორმაგი ჩასაბერი საკრავები. ჯავახეთის ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, ამ მოვლენას დანარჩენ რეგიონებშიც უნდა ჰქონდეს ახსნა.

ამგვარად, უდავოა მჭიდრო კავშირი ვოკალურ და საკრავიერ მრავალხმიანობას შორის ორმაგი ჩასაბერი საკრავების მაგალითზე. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ეს პარალელები არ იფარგლება მხოლოდ მრავალხმიანობის ფაქტის არსებობით და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა: მრავალხმიანობის ფორმა, ინტერვალიკა, მელოდიკის ტიპი და ა.შ. სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ორმაგ ჩასაბერ საკრავებზე მორდვაში ჟღერს ბურდონი, ბალკანეთში – სეკუნდები, დასავლეთ საქართველოში – პოლიფონია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ბურდონი.

ამ კავშირების შემდგომმა შესწავლამ, შესაძლოა, ნათელი მოჰფინოს გამჭრალ ცივილიზაციებში მრავალხმიანობის არსებობას.

ქეთევან ნიკოლაძე- ბურკე
ეთნომუსიკოლოგი

„ალილო“

7 იანვარს მართლმადიდებლური სამყარო მაცხოვრის შობას აღნიშნავს. ტმკსც-ის სახელით გილოცავთ ამ დღესასწაულს და გთავაზობთ ტრადიციულ სამობაო ხალხურ სიმღერას „ალილო“, რომელიც მთელ საქართველოში გავრცელებული ალილოობის რიტუალის განუყოფელი ნაწილია.

ალილოობა შობის დილას კარდაკარ ჩამოვლის რიტუალია, რომელიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია გავრცელებული. ის გხვდება გერმანიაში, შვეიცარიაში, რუმინეთში, ალბანეთში, რუსეთში და ა. შ.

ნებისმიერი ოჯახისათვის მეალილოების სტუმრობა დიდი პატივი იყო. სამეგრელოში ამბობდნენ: „შობაზე კაცი რომ მოვა, გიმღერებს, ეს იგივეა, რომ დიდი ძღვენი მოგიტანოს ოჯახშიო“.

„ალილოს“ სახელწოდება, გავრცელებული მოსაზრებით, წარმოდგება სიტყვიდან „ალილულია“, რაც ქართულად ნიშნავს – „დიდება შენდა, ღმერთო!“

ალილოობის ტრადიციის აღდგენა გასულის საუკუნის 80-იანი წლებიდან ცნობილ ქართველ ეთნომუსიკოლოგს – ედიშერ გარაყანიძესა და მის ანსამბლ „მთიებს“ უკავშირდება. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება.

წინამდებარე ნიმუში „ალილოს“ ლექსუმური ვარიანტია, რომელიც საარქივო ჩანაწერებიდან გაშიფრა ეთნომუსიკოლოგმა ლევან ვეშაპიძემ.

ალილო

ა - ლლო ა - ლლო ა - ი - ა - ლი - ლო
 ა - ლლო ა - ლლო და ა - ი - ა - ლი - ლო
 ა - ლლო ა - ლლო ა - ი - ა - ლი - ლო

ა ოც-და-ხუთ-სა ა ოც-და-ხუთ-სა ამ თვე-სა-ო ღმერთ-თი და-ბა -
 ა - ი ოც-და-ხუთ-სა ა - ი ოც-და-ხუთ-სა ამ თვე-სა-ო ღმერთ-თი და-ბა -
 ა - ი ოც-და-ხუთ-სა ა - ი - ამ თვე-სა ღმერთ-თი და -

დე - ბუ-ლა - ო შო ი ა - ი - ა - ლი - ლო ა ღმერთ-მა ყვე-ლას
 დე - ბუ-ლა - ო შო ა - ი ღმერთ-მა ყვე-ლას
 დე - ბუ-ლა - ო შო ი ა - ი - ა - ლი - ლო ა - ი ღმერთ-მა ყვე-ლას

გა - ღმერთ-მა ყვე-ლას გა-გი-თე-ნოს შო - ბა - ა - ხალ წე - ლი-წა-დი ო
 გა - ი ღმერთ-მა ყვე-ლას გა-გი-თე-ნოს შო - ბა - ა - ხალ წე - ლი-წა-დი ო
 გა - ი ა - გი-თე - ნოს შო - ბა - ა - წე - ლი-წა-დი ო

რედაქტორი:

მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2018

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953-ფაქსი: (+995 32) 2987187

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2018 წლის ივლისში